პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტ. პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—56

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ბირალდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

- სირიაში აჯანყებულები იმარჯვებენ, საფრანგეთის ჯარმა უკან დაიხია.
- ვარშავაში დახვრიტეს ამხ. ბოტვინი, პროვოკატორ ცეხანოვსკის მკვლელი.
- პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკრჟინსკი ამერიკაში გაემგზავრა.
- რუმინეთში დაიწყო ებრაელთა დარბევა.
- ამერიკელი ავიატორები ეხმარებიან ფრანგებს მაროკოში.

შაბათი, 8 აგვისტო 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 180 (1335)

ორშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათ. მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა

1. კომუნალური (წითელი თეატრი).
   დღის წესრიგი:
   1. მოხსენება „რუოს-ის" შესახებ.
   2. მიმდინარე საკითხები.
2. ჯანმრთელობის (აღმასკ. შენ. ოთახი № 57).
   დღის წესრიგი:
   1. მოხსენება ქ. თბილისში პურის ცხობის შესახებ.
   2. მიმდინარე საკითხები.
3. სოფლად მუშაობისა და საბჭოთა მშენებლობის (აღმასკ. შენ. ოთახი № 66)
   დღის წესრიგი:
   1. მოხსენება მომავალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დანაწილების შესახებ.
   2. მოხსენება მაზრაში მეფუტკრეობის და მის ხელშესაწყობად ქარხნის გახსნის შესახებ.
   3. მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

ნ. № 1595—2—1

ისინიც ახმაურდენ

ამას წინედ ჩვენ მოყვანილი გვქონდა ცნობა რღვევის იმ პროცესის შესახებ, რომელიც ფართოდ მოედვა თეთრგვარდიელთა ემიგრაციას, კერძოდ მის სამხედრო ჯგუფებს. უკანასკნელნი ემიგრაციის ერთ მრავალრიცხოვან და ძლიერ ნაწილს წარმოადგენენ და იმთავითვე მონარქისტულად არიან განწყობილნი. დეპეშა გვაუწყებდა, რომ ამ საზღვარგარეთ გადახვეწილ მეფის ჯაროს აფიცრობაში თითქო ადგილი ჰქონდეს ერთგვარ გარდატეხას, თითქო ის ილტვის სამშობლოსაკენ და სურს „შეურიგდეს" საბჭოთა მთავრობას.

ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ასეთი სულიერი განწყობილება, თუ ეს მართლა ფაქტია, აიხსნება მის მიერ გამარჯვების იმედის დაკარგვით და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სიძლიერით, და არამც და არამც ნამდვილი, შინაგანი შერიგება მშრომელთა დიქტატურასთან. ამასთან დავსძენდით, რომ თუ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა, ემიგრაციის ეს „ლიკვიდატორული ფსიქოლოგია" ისევ გაქრება და ისევ აღინთება მათი გული „წარსული დიდების" დაბრუნების ტკბილი ოცნებით.

ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ერთ მზადებაში არიან საბჭოთა რესპუბლიკებზე გასალაშქრებლად. კონსერვატორების ინგლისი თაოსნობს ამ კამპანიას. იგი სცდილობს ჩვენი დასავლეთით მოსაზღვრე წვრილ „დამოუკიდებელ" სახელმწიფოების გაერთიანებას ჩვენს წინააღმდეგ ამხედრების მიზნით, უწევს მათ ფინანსიურ დახმარებას, უგზავნის ჯარების მოსამზადებლად ინსტრუქტორებს, აწყობს ბალტიის ზღვაში სამხედრო ბაზებს და სხ.

თავის თავად ცხადია, იმპერიალისტების ეს „მუშაობა" ფრთებს ასხამს თეთრგვარდიელთა ემიგრაციას. მათაც შორთეს ფუსფუსი, რომ არ ჩამორჩენ თავის „ხაზეინებს", ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებს, რომელთა ნასუფრულით ცხოვრობენ. ამად, მათთაც დაიწყეს „მზადება", რათა შეიტანონ თავისი წვლილი განზრახულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მუშათა და გლეხთა ბატონობის დასამხობად.

დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს, [illegible] მონარქისტებმა პარიზში გააძლიერეს აგიტაცია. მათ შექმნეს „ძველი რეჟიმის დამცველთა კავშირი". მონარქისტული ემიგრაციის ლიდერის, პეტრე სტრუვეს თაოსნობით პარიზში შესდგება რუსეთის ემიგრაციის „გენერალური კონგრესი" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედების გეგმის გამოსამუშავებლად.

აქვე აღნიშნულია, რომ მილიუკოვს „რესპუბლიკანურ - დემოკრატიულ" ჯგუფის სახელით უარი განუცხადებია ამ კონგრესზე მონაწილეობის მიღებაზე. ეს, თავისთავად ცხადია, არა იმიტომ, რომ მილიუკოვი წინააღმდეგი იყოს ინტერვენციის. მილიუკოვი უფრო „წინდახედული" კაცია. იგი ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ არ არის დამდგარი ხელსაყრელი მომენტი ასეთი „აქტიური" მოქმედების დაწყებისათვის. მან ხომ „ვადის გადადების" სახელწოდებით მონათლა ის გარემოება, რომ ინგლის-საბჭოთა გამწვავებულ ურთიერთობას არ მოჰყვა მათ შორის დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტა და ომი. ეს ვადა, ალბად, არ გათავებულა და მილიუკოვიც ამ დროს უცდის. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მას დღეს ხელები გულზე აქვს დაკრეფილი და ანტისაბჭოთა მუშაობას არ აწარმოებს; მხოლოდ ნაადრევად მიაჩნია „იარაღის ასხმა".

ასეა თუ ისე, თეთრგვარდიელთა ემიგრაციის ახმაურება საგულისხმოა. საგულისხმოა არა იმ მხრივ, რომ ისინი თავის თავად რაიმე რეალურ ძალას წარმოადგენენ, არამედ იმ მხრივ, რომ ეს გამოძახილია იმპერიალისტების განზრახვების და მზადებისა ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, რომ იმპერიალისტები გაბედავენ ამ განზრახვიდან „საქმეზე" გადასვლას, ე. ი. ჩვენს წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოლაშქრებას. მათი აწეწილი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა თავდებია იმისი, რომ მსოფლიო ყაჩაღების ეხლანდელი ცდა ჩვენი დამონებისა უბრალო ცდად დარჩება. ხოლო მთავარი ფაქტორი რევოლიუციის მონაპოვართა ხელშეუხებლობისა არის ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, ჩვენი სამეურნეო აღორძინება, ჩვენი საომარი უნარის შენარჩუნება.

და ეჭვი არ არის, რომ თეთრგვარდიელთა ეხლანდელი იმედები ისევე ჩაიფერფლება, როგორც ეს დღემდე ხდებოდა.

მოჯამაგირეთა შრომის მოწესრიგებისათვის

„სხვათა მოჯამაგირეობას ადვილათ იტყვის ენაო, დილიდან საღამომდისინ არა მაქვს მოსვენებაო"... ამბობს ხალხური თქმულება.

და მართლაც არსად, წარმოების არც ერთ დარგში არა აქვს ადგილი ადამიანის ისეთ შეუბრალებელ უფლებრივ და ეკონომიურ ექსპლოატაციას, როგორც სოფლის მეურნეობის ცალკე წვრილ ერთეულებში. ეს უნდა მივაწეროთ არა მარტო სოფლად მუშაობის თავისებურობას, არამედ იმ დაქსაქსულობას და შეუკავშირებლობას, რომელიც ასე ახასიათებს მოჯამაგირის შრომის პირობებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ დააკანონა სოფლად მუშა ხელის დაქირავება და ის სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ერთგვარ ფარგლებში ჩააყენა. ცხადია, სოფლის სინამდვილეში, სადაც დაქირავებული პირი დღით და ღამით, სხვის ოჯახზე მიჯაჭვული, სად აცდამქირავებელი პირადი სარგებლობით გატაცებული ცისკრიდან ცისკრამდი მუშაობს და ერთი ორათ ამუშავებს დაქირავებულს, სადაც სუსტია ამ უკანასკნელის კლასიური შეგნება, შრომის დაცვის საქმე განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს.

აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ მოჯამაგირეთა უფლებრივ და მატერიალურ დაცვას, რომლის საგრძნობ ნაწილს მცირეწლოვანი და ქალები წარმოადგენენ, სოფლის პირობებში ისე დაუბრკოლებლივ ვერ შევსძლებთ, როგორც ქალაქის მსხვილ წარმოებაში, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სოფლის პროლეტარიატი უნდა მივატოვოთ ბედის ანაბარათ და დამქირავებლის განუკითხავ ექსპლოატაციის საგნათ გადავაქციოთ.

ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენმა სოფლად მომუშავე პროფესიონალურ ორგანიზაციებმა და თემ-აღმასკომებმა ყური მახვილად დაიჭირონ და იზრუნონ საბჭოთა ხელისუფლების იმ უკანასკნელ დადგენილებათა ცხოვრებაში უკლებლივ გატარებაზე, რომელიც შეეხება სოფლის მეურნეობაში ქირით მომუშავე ხელის გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კანონის ძალით სოფლის დამქირავებელს ბევრათ უფრო მეტი შეღავათი ეძლევა მუშა-ხელის აყვანის დროს, ვიდრე ქალაქისას. დამქირავებელი და დაქირავებული ერთმანეთთან შეთანხმებით კრავენ წერილობით პირობას, სადაც განსაზღვრულია დაქირავების ვადა, სამუშაო დრო, შრომის ხელფასი და სხვა. ეს პირობა ტარდება ადგილობრივ აღმასკომის რეგისტრაციაში.

არც თემის თავჯდომარეს, არც კავშირის წარმომადგენელს უფლება არა აქვს რაიმე ცვლილება შეიტანოს იმ პირობაში, რომელსაც ხელს აწერენ დაქირავებული და დამქირავებელი. აღმასკომი მოვალეა აგრეთვე უსასყიდლოთ მოახდინოს ეს რეგისტრაცია.

გარდა ამისა სოფლის დამქირავებელი, რომელსაც სამზე მეტი მოჯამაგირე არ ჰყავს, თავისუფალია დამზღვევ სალაროს გადასახადისაგან. მას შეუძლია მუშა-ხელი გამოიყენოს საქმეზე დღით და ღამითაც, თუ კი ამას ითხოვს მეურნეობის გადაუდებელი საჭიროება. ერთი სიტყვით სოფლის მესაკუთრეს ამ შემთხვევაში აქვს მთელი რიგი ისეთი პრივილეგიების, რომელიც ქალაქის დამქირავებელს საბჭოთა პირობებში სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

მაგრამ ჩვენ ვიცით ისინი ამითაც არ დაკმაყოფილდებიან და შეეცდებიან ისეთი მდგომარეობის შენარჩუნებას, რომელშიაც დაქირავებული პირი ჩვეულებრივ შინაყმათ უნდა გადაიქცეს. სოფლად საერთოდ გაბატონებულია ასეთი აზრი, რომ, თუ ვინმემ სხვის შვილს მჭადის ყუა მოუტეხა, უსახლკარო ქვრივ-ობოლი თავის ხარჯზე აიყვანა და სამაგიეროთ მუშაობით წელი გაუტეხა, მას ქველმოქმედის და პატიოსან კაცის სახელი ენიჭება. მისი აზრით ის დიდ საშიღლო და სამოწყალო საქმეს შვრება.

საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს უწევს სოფლის მეურნეობის თავისებურობას, ის არ აკისრებს დამქირავებლის ჯიბეს ისეთ მოვალეობას, რომლის ატანაც მას არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროთ დაქირავებულთა განუსაზღვრელ ექსპლოატაციასაც ვერ დაუშვებს და ამით არის გამოწვეული ახალ კანონში ის სავალდებულო პირობები, რომელიც შეეხება მოჯამაგირეთა უფლების დაცვას. ესენია უმთავრესად შემდეგი:

შრომის ქირა არ შეიძლება დაწესებულ იქნას შეთანხმებაში იმ მინიმუმზე დაბლა, რომელიც ამა თუ იმ რაიონში მიღებულია სახელმწიფოს სათანადო ორგანოების მიერ; კვირაში ერთი დღე დაქირავებულის სრულ განკარგულებაში უნდა იყვეს; გარდა ამისა წელიწადში უნდა დაასვენოს დამქირავებელმა მოჯამაგირე 6 დღით იმ რვა რევოლიუციურ უქმეების გარეშე, რომელიც განსაზღვრულია სახალხო კომისართა დადგენილებით;

არ შეიძლება დაქირავებულ იქნას მცირეწლოვანი 14 წელზე დაბლა. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ მსუბუქი სამუშაო იქნება, კანონი ნებას იძლევა 12 წლიანის დაქირავებისას. დამქირავებელი ვალდებულია ორი კვირით ადრე გააფრთხილოს დაქირავებული დათხოვის შესახებ.

ასეთია უმთავრესად ის ვალდებულებანი, რომელიც ეკისრება დამქირავებელს მუშა ხელის აყვანის საქმეში.

ჩვენი ადგილობრივი სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზაციების მოვალეობას არ შეადგენს მოჯამაგირისა და დამქირავებლის პირობის დადებაში ჩარევა, მაგრამ, როცა ეს პირობა დაიწერება, როცა ორივე მხარე ამ პირობების შესრულების სურვილს გამოსთქვამს და ის რეგისტრაციაში მოხვდება, მისი სისწორით და უკლებლივ ცხოვრებაში გატარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული.

გარდა ამისა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს არალეგალურ, ფარულ მოჯამაგირეობას. არც ერთი დაქირავებული არ უნდა დარჩეს აღრიცხვაზე აუყვანელათ. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას როცა შორეული ნათესავები აჰყავთ მოჯამაგირეთ და კავშირის თვალის ასახვევათ მას სწორუფლოვან ოჯახის წევრათ, თავისიანათ აცხადებენ.

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმ კულტურულ, პოლიტიკურ აღმზრდელობის შესახებ მოჯამაგირეთა შორის, რომელიც სოფლის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების დიდი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. ეს ყველაფერი თავისთავად იგულისხმება.

ამ შემთხვევაში ლაპარაკია შრომის კანონების სისწორით და სავსებით დაცვაზე და სოფლის პროლეტარიატის უფლებრივ და მატერიალურ უზრუნველყოფის შესახებ.

სოფლად მუშაობის საქმეში ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.

ა.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი*)

6. ინსტრუქტორების საკითხები

საკრედიტო ამხანაგობებს საინსტრუქტორო დახმარება ესაჭიროებათ,—ესე იგი მათ უნდა აუხსნან, თუ როგორ უნდა აწარმოონ გაერთიანების საქმეში, როგორ მოაწესრიგონ ანგარიშწარმოება და სხვ. ამ მიზნით საჭიროა ყოლა მომზადებულ სპეციალისტ-მუშაკებისა ძირითად კოოპერატიულ უჯრედების საინსტრუქტოროდ. მეორე მხრით საჭირონი არიან ისეთი პირები, რომელნიც ლექციებს წაიკითხავენ კოოპერაციაზე, გლეხებს აუხსნიან სოფლისა და ქალაქის დაახლოვების მნიშვნელობას და სხვა. ასეთ მომზადებულ ინსტრუქტორების ყოლა შეუძლიან უფრო მძლავრ ორგანიზაციას, ვიდრე ძირითადი გაერთიანებაა. ასეთ საკრედიტო ორგანიზაციას ჯერ-ჯერობით წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკები კოოპერატიულ ორგანიზაციას არ წარმოადგენენ.

სასოფლო-სამეურნეო ბანკები ისეთი ორგანოები არიან, რომელნიც ანხორციელებენ მთავრობის დავალებებს ძირითად კოოპერატიულ უჯრედებისთვის კრედიტის აღმოჩენის საქმეში. ამიტომ ინსტრუქტორობის საკითხები უნდა სწყდებოდეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების საკავშირო გაერთიანებათა ძალებით. ამიტომაც კოოპერაციის შესახებ მე-14 პარტკონფერენციამ დადგენილება გამოიტანა, რომლის პირველი მუხლიც ამბობს: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ერთის მხრით უნდა ვითარდებოდეს სპეციალურ სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობათა მიმართულებით, ხოლო მეორე მხრით სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიმართულებით. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი თავის საკრედიტო მოღვაწეობაში წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობის საერთო სისტემის ძირითად ქსელს (ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეთაურობით). თავის გასაღებით, მომარაგებით და საწარმოო მუშაობით, აგრეთვე კოოპერატიულ ინსტრუქტორობით, ისინი შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელში".

7. ამხანაგობის მოგების განაწილება და ზარალის დაფარვის საკითხები

საოპერაციო წლის დასრულების შემდეგ მოგებას ანაწილებს საზოგადო კრება, თანახმად წესდებისა; ამასთანავე საზოგადო კრებას შეუძლია მთელი მოგება, ან ნაწილი, გარდა წესდებით გათვალისწინებულ ანარიცხებისა, გადარიცხოს სპეციალურ დანიშნულების თანხაში.

მოგების განაწილების დროს მიღებული უნდა იქნას მხედველობაში რომ მთლიანად ამხანაგობა ისეთს ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ რაიონის ყველა გლეხს და მაშასადამე მასაც ესაჭიროება ყოველწლივ გამაგრება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჭკნება და ველარ დააკმაყოფილებს თავის წევრთა მოთხოვნილებებს. ამიტომ საჭიროა, რომ ამხანაგობის წევრები რაც შეიძლება მეტ ფულს სტოვებდენ ამხანაგობის სალაროში და ამ მხრით აძლიერებდენ გაერთიანების ძირითად საშუალებებს.

ყველა ამ საკითხის განხილვის დროს ახლად მიღებული წევრები, თუ ისინი ამხანაგობაში შესულნი არიან მოგების განაწილების საკითხის განხილვამდე, იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც ძველი წევრები. მეორე მხრით, ახლად მიღებული წევრები ისევე პასუხისმგებლები არიან მათ შესვლამდე ამხანაგობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა გამო, როგორც გაერთიანების დანარჩენი წევრები.

ეს იმიტომ ხდება, რომ ამხანაგობა მარტო იმათ საკუთრებას კი არ შეადგენს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ორგანიზაციის შექმნაში, არამედ იგი იმათს სამკვიდრებელსაც შეადგენს, რომლებიც მოისურვებენ მასში წევრად შესვლას.

ამხანაგობის ზარალი, თუ იგი აღმოჩნდება საოპერაციო წლის ბოლოს, იფარება სათადარიგო თანხით, რომელშიაც ყოველწლივ უნდა გადაირიცხოს საზოგადოების მოგების განსაზღვრული პროცენტი. თუ ეს თანხა ზარალს ვერ დაფარავს, მაშინ საზოგადო კრება დარჩენილ ჯამს ანაწილებს ამხანაგობის წევრთა შორის პროპორციულად იმისა, თუ რომელმა რა რაოდენობის კრედიტით ისარგებლა წლის განმავლობაში.

8. ფუნქციების განსაზღვრა სხვადასხვა სახის კოოპერატიის შორის.

სოფლად შეიძლება იყოს სამგვარი სახის კოოპერატიული ორგანიზაციები: მომხმარებელი საზოგადოება, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა და საკრედიტო ამხანაგობა. ყველა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორია თვითეულ მათგანის ფუნქცია, რათა პრაქტიკულ მუშაობის პროცესში პარალელიზმი აიცდინონ თავიდან.

სამომხმარებლო კოოპერატივების მიზანია დააკმაყოფილონ თავისი წევრები პირველ საჭიროების საგნებით. მომხმარებელ საზოგადოების საქმე არ არის თავის წევრთათვის საშუალებათა მიცემა იარაღ-მანქანების საყიდლად, სესხის გაცემა სოფლის საწარმოო ძალთა გასაუმჯობესებლად და სხვ.

მეორე მხრით, საკრედიტო ამხანაგობა ოჯახში მოსახმარ საგნებს არ უნდა ყიდულობდეს თავის წევრთა მოსამარაგებლად. იგი უმთავრესად უნდა სცდილობდეს, რომ მოაწესრიგოს ფულის ურთიერთობა გლეხთა შორის, გამოსძებნოს გზები თავისუფალ ფულის მისაზიდათ და მის გასანაწილებლად ამხანაგობის გაჭირვებულ წევრთა შორის. საკრედიტო ამხანაგობის საქმე არ არის ადგილობრივ ნაწარმოებთა გასაღება თუ მის მოქმედების რაიონში არსებობს მომხმარებელი საზოგადოება ან სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მას არ უნდა აინტერესებდეს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტთა გასაღების საკითხი. პირიქით, საკრედიტო ამხანაგობამ გლეხებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს მათ შრომის პროდუქტთა გასაღების საქმეში. ეს დახმარება იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ საპაიო გადასახადები ნატურით მიიღოს, თუ ამის შესახებ ცალკე დადგენილება იქნება გამოტანილი საზოგადო კრების მიერ; ამას გარდა სასოფლო მეურნეობის პროდუქტები უნდა მიიღოს მწარმოებლისთვის ხელსაყრელ პირობებში გასასაღებლად და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა სწარმოებდეს სხვა ტიპის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით. საკრედიტო ამხანაგობამ, თუ მის მოქმედების რაიონში მომხმარებელი ან სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა აარსებს, თავის წევრთა პროდუქტების გასაღება ამ ამხანაგობათა დახმარებით უნდა მოაწესრიგოს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამხანაგობა უნდა სცილდებოდეს, რომ ნატურით მიღებული საპაიო გადასახადი, აგრეთვე სხვა რაიმე ვალდებულებათა გამო მიღებული პროდუქტები სასოფლო-სამეურნეო, ან მომხმარებელ საზოგადოების საშუალებით გაასაღოს.

საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ არ უნდა დაივიწყოს თავისი ძირითადი ფუნქცია—უმთავრესად საკრედიტო ოპერაციების წარმოება იმ მიზნით, რომ ფულის ურთიერთობანი მოაწესრიგოს ამა თუ იმ ამხანაგობის სამოქმედო რაიონის გლეხთა შორის ერთის მხრით და მეორე მხრით ქალაქს შორის, რომელიც სოფელს აწვდის საქალაქო მრეწველობის საგნებს.

ამ ამოცანის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ იგი ყველა საქმეს არ წაიტანს ხელს და მიზნად არ დაისახავს თავის წევრთა ყოველგვარ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

საკრედიტო ამხანაგობას შეუძლია და კიდეც უნდა მოჰკიდოს ხელი ეგრედწოდებულ საშუამავლო ოპერაციებს. ამ ოპერაციების აზრია—ამხანაგობის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანათა შეძენის საქმეში. ამხანაგობის წევრი გამგეობას უკვეთს ამა თუ იმ საქონლის ყიდვას და პირობას აძლევს, რომ საქონელს იგი აუცილებლად წაიღებს. აქ საკრედიტო ამხანაგობა გამოდის შუამავლის როლში და თავის წევრის დავალებას ასრულებს.

ა. ერქომაიშვილი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი საბჭ. კავშირის ცნობის მომხრეა

იაპონიაში უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევენ საბ. კავშირთან შეთანხმებას, ვიდრე ინგლისთან კავშირს

ინგლისის მთავრობა საჭიროდ სთვლის საბჭ. კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას

საბჭოთა კავშირი—ამერიკის მეტოქე

ვაშინგტონი, 6 აგვისტო. „იუნაიტედ პრესის" სააგენტოს წარმომადგენლებთან ტროცკის საუბრის გამო ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირისათვის ამერიკაში დიდი სესხის მიცემა დამოკიდებულია ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობაზე, რაც გადადებულია იმის გამო, რომ „ჩინეთში საბჭოთა კავშირი უცხოელების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას აწარმოებს." იმავე წრეებში აღნიშნავენ, რომ კულიჯი დარწმუნებულია საბჭოთა მთავრობის სიმტკიცეში და ამერიკის მიერ მისი ცნობა სასურველად მიაჩნია.

აქ საღაოდ არ მიაჩნიათ ტროცკის განცხადება, რომ საბჭოთა მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა სწრაფად იზრდება და აღნიშნავენ, რომ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ვითარდება, მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირი იურიდიულად არ არის ცნობილი, ამერიკის ეკონომიური ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი არის ამერიკის მომავალი მეტოქე მსოფლიო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების მხრივ და რომ საბჭოთა ბამბის პლანტაციების გადიდებასთან ერთად შემცირდება ამერიკაში საბჭოთა კავშირის მიერ ბამბის შეძენა.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

ვაჭრობა ერთი ორათ გაიზარდა

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ ვაშინგტონში გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა 1925 წლის პირველ ნახევარში უდრის მთელს ჩვენს ვაჭრობას ამერიკასთან გასული წლის განმავლობაში.

ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1925 წლის პირველ ნახევარში უდრის 59 მილიონ დოლარს.

დამოკიდებულება იაპონიასთან

„ოსაკა მაინიჩის" წერილი

ტოკიო, 6 აგვისტო, ინგლის-იაპონიის ახალ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის შესახებ „ოსაკა მაინიჩი" ამბობს, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არის აუცილებელი, ვინაიდან სულ სამ წელმა განვლო ვაშინგტონის კონფერენციის დადების შემდეგ და ნახევარმა წელმა—იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შემდეგ. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ინგლისის და საბჭოთა კავშირის გავლენის შორის ჩინეთში დაიწყო ბრძოლა, ვინაიდან ინგლისი სცდილობს განამტკიცოს ჩინეთში თავისი პოზიციები, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირი სცდილობს გააბათილოს სხვა სახელმწიფოების მნიშვნელობა ჩინეთში.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ხმები ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და დაასკვნის: „ჩვენ გვინდა დავარწმუნოთ საბჭოთა კავშირი, რომ იაპონია დაიცავს იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას და ყოველ ძალღონეს იხმარს მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად შორეულ აღმოსავლეთში".

ჩინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში

პეკინი, 6 აგვისტო. სუნ-შაო-ჩი დაინიშნა ჩინეთის ელჩით საბჭოთა კავშირში.

სუნ-შაო-ჩი—პირველი ელჩია, რომელსაც გზავნის საზღვარგარეთ ჩინეთის მთავრობა.

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

ლონდონი, 6 აგვისტო. კლაინსი თემთა პალატაში შეეკითხა მთავრობას რა ნაბიჯებია გადადგმული საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. კლაინსის სიტყვით, საბჭოთა კავშირს შეუძლია აწარმოვოს ვაჭრობა ინგლისის საქმიან წრეებთან.

შრომის მინისტრმა მაიტლენდმა უპასუხა კლაინს, რომ მთავრობა სცდილობს გააფართოვოს სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

საუბარი კრასინთან

პარიზი, 6 აგვისტო. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მოსკოვში მოგზაურობის შესახებ კრასინმა განაცხადა, რომ ის გაემგზავრა მოსკოვში ხორბლის გატანის და საბჭოთა კავშირში სხვადასხვა საქონლის იმპორტის საქმის მოსაწესრიგებლად. კრასინმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვში ის სცდილობდა, რათა რაც შეიძლება მეტი შეკვეთა მიეცათ საფრანგეთის ფირმებისათვის. კრასინმა გამოსთქვა იმედი, რომ საფრანგეთის ხელისუფლება დახმარებას გაუწევს საბჭოთა კომერციულ აგენტებს მათი მოვალეობის შესრულების დროს.

ბოლოს კრასინმა უარჰყო ცნობა იმის შესახებ, ვითომდა საბჭოთა კავშირს ჰყავდეს თავისი აგენტები აბდ-ელ-ქერიმთან და უწევდეს მას ფინანსიურ დახმარებას.

„ვაცლავ ვოროვსკი"

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. გავანიდან მიღებული ცნობის თანახმად, კუბაში ჩავიდა ბრაზილიიდან საბჭოთა გემი „ვაცლავ ვოროვსკი" 50.000 ტომარა შაქრის წამოსაღებად საბჭოთა კავშირისათვის.

კუბის პროფკავშირთა წარმომადგენლებმა მიიპატიჟეს საბჭოთა გემის კაპიტანი გავანას სანახავად.

ჭორებს და ცილისწამების კამპანია

ინგლისის კონსერვატორების გზით

პრაღა, 6 აგვისტო. „რუდე პრავო"-მ გამოაქვეყნა კომპარტიის ცეკას განცხადება, რომელიც ბურჟუაზიული პრესის ცნობას მოსკოვში მასარიკზე და სხვა პირობებზე თავდასხმის გეგმის შედგენის შესახებ, საზიზღარ ცილისწამებას უწოდებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობა პოლიტიკური მოსაზრებით მიმართავს პროვოკაციას და ხრიკებს რომელიც წაბაძავენ ინგლისის კონსერვატორების ცნობილ საარჩევნო ხერხს.

„ჩვენ ზიზღით უარვყოფთ ამ ცილისწამებას",—ამ სიტყვებით თავდება კომპარტიის განცხადება.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. გენერალმა მორისმა, რომელიც საერთაშორისო ომის დროს სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ინგლისის არმიაში, ქალაქ ვილიამსტოუნის პოლიტიკურ ინსტიტუტში წარმოსთქვა პოლიტიკური სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას შეიარაღების შემცირების საქმეში.

რუსეთს ყველაზე უფრო დიდი არმია ჰყავს ევროპაში, განაცხადა მორისმა, და ამიტომ შეუძლებელია მოველოდეთ დიდ შედეგებს შეიარაღების შემცირების საქმეში, სანამ საბჭოთა კავშირი არ შეუერთდება ასეთ შეთანხმებასო.

ამხ. ბოტვინის დახვრეტა

ვარშავა. 6 აგვისტო. 5 აგვისტოს ლვოვში სამხედრო საველე სასამართლო იხილავდა პროვოკატორ ცეხნოვსკის მკვლელის ბოტვინის საქმეს.

სასამართლოს დახაცავად გაწვეული იქნა მთელი პოლიცია. სასამართლოს ახლო მდებარე ქუჩები დახურული იქნენ. სხდომის დარბაზში დაშვებული იქნენ მხოლოდ პოლიციის აგენტები და რამდენიმე ბურჟუაზიული ჟურნალისტი.

ბოტვინს იცავდა ვექილი აქსერი და შუკევიჩი. ბოტვინს მამაცურად ეჭირა თავი სასამართლოში, რასაც ბურჟუაზიული პრესაც აღნიშნავს.

სხდომის დასაწყისში დამცველებმა მოითხოვეს საქმის გადაცემა ჩვეულებრივ სასამართლოსათვის, ვინაიდან მოკლული პროვოკატორი ცეხნოვსკი მოკვლის მომენტში არ იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში და ბოტვინი სრულწლოვანი არ არის. სასამართლომ უარი სთქვა დამცველთა მოთხოვნილებაზე. შემდეგ დამცველებმა მოითხოვეს, რათა მათთვის მიეცათ საშუალება გასცნობოდნენ საბრალმდებლო აქტებს და აგრეთვე ბრალდებულის მარტოდ ნახვა. დამცველებმა განაცხადეს, რომ დღემდის მისთვის არ წაუკითხავთ საბრალმდებლო ოქმი. სასამართლომ მისცა დამცველებს ნახევარი საათი საგამომძიებლო მასალების გასაცნობად.

ბოტვინმა სასამართლოში განაცხადა, რომ ის შევიდა კომპარტიაში 1923 წელს. ცეხნოვსკის პირადათ არ იცნობდა და მოჰკლა ის პარტიის დავალებით, რადგან ის იყო ყველაზე საზიზღარი პროვოკატორი. ბოტვინმა განაცხადა, რომ ჩვენება, რომელიც მან მისცა „ოხრანკას" იძულებითი იყო, რადგან მას სცემდნენ. თავმჯდომარემ ბოტვინს სიტყვა წაართვა.

პროკურორმა თავის სიტყვაში მოითხოვა სიკვდილით დასჯა. დამცველმა აქსერმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივ აზრს არ შეუძლია დასაჯოს იდეური კომუნისტი პროვოკატორის მკვლელობისათვის.

6 აგვისტოს დილით სასამართლომ მიუსაჯა ბოტვინს სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, რომელიც შეცვალა დახვრეტით.

დამცველმა აქსერმა დეპეშით სთხოვა პოლონეთის პრეზიდენტს ბოტვინისათვის ამნისტიის მინიჭება, მაგრამ პრეზიდენტმა ეს თხოვნა უარჰყო.

განაჩენის გამოტანიდან 8 საათის შემდეგ ბოტვინი დახვრეტილი იქნა ციხის ეზოში.

ომი მაროკოში

რიფების სანაპიროების ბლოკადა

ლონდონი. 6 აგვ. ლონდონიდან მიღებულ მოულოდნელ განკარგულებით გიბრალტარში ბალტიის ზღვიდან ჩავიდა 3 ინგლისური გამანადგურებელი გემი. ფიქრობენ, რომ ეს გემები მონაწილეობას მიიღებენ რიფების სანაპიროების ბლოკადაში.

ინგლისი და მაროკო

ლონდონი. 6 აგვ. „მატენის" მიერ გამოქვეყნებულმა საფრანგეთ-ესპანეთის საზავო პირობებმა თვალსაჩინო მღელვარება გამოიწვია ინგლისის დიპლომატიურ წრეებში. იუწყებიან რომ ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ ეს პირობები განხილული უნდა იქნეს საერთაშორისო კონფერენციაზე, ვინაიდან რიფების სანაპიროებზე მდგომარეობის შეცვლის საკითხი ეხება ინგლისს.

საფრანგეთ-ესპანეთის საზავო პირობები.

პარიზი. 6 აგვ. „მატენი" იუწყება, რომ მან ოფიციალურ წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად საფრანგეთ-ესპანეთის საზავო პირობები გადაეცა აბდ-ელ-ქერიმს. ეს პირობები მდგომარეობს შემდეგში: აბდელ-ქერიმის მიერ სულთანის რელიგიურ სუვერენიტეტის ცნობა, საფრანგეთის და ესპანეთის მიერ რიფის ადმინისტრატიულ ავტონომიის აღიარება; რიფებისათვის მინიჭება უფლებისა იყოლიონ საპოლიციო ძალები, რომელსაც საფრანგეთი შეადგენს; ცეფტის და მალილის ზონები გაფართოვდება და გადაეცემა ესპანეთს; ტანჟერ-ფესის რკინის გზიდან 20 კილომეტრით დაშორებული ხაზი შევა ტანჟერის ზონაში, ერთნახევარი შევა ტანჟერში, მეორე კი გადაეცემა საფრანგეთს.

აბდ-ელ-ქერიმთან დადებულ საზავო ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობა იქნება ერთის ლიგის კონტროლის ქვეშ.

საგარანტიო ხელშეკრულება

საფრანგეთის პროექტი

პარიზი, 6 აგვისტო. „მატენ"-ი იტყობინება, რომ საფრანგეთის მიერ შემუშავებული პროექტი საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ შეიცავს 4 ნაწილს, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს ერთდაიმავე დღეს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ.

საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ინგლისი მთლიანათ შეუერთდება საფრანგეთის პროექტს.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 176, 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 6 აგვისტო. გაფიცულმა სამთო-მადნო მუშებმა სამხრეთ უელსში დააყენეს მცველები. შტრეიკბრეხერებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა შეტაკებას პოლიციასთან, რომლის დროსაც დაჭრილი იქნა 106 მუშა და 12 პოლიციელი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოიწვია დასახმარებლად სამხედრო ძალები.

დახმარება მრეწველობას

ლონდონი, 6 აგვისტო. ბალდვინმა წარადგინა თემთა პალატაში განსახილველად საკითხი მთავრობის მიერ ნახშირის მრეწველობისათვის და მუშების დასაკმაყოფილებლად 10 მილიონი გირვ. სტერლინგის გადადების შესახებ.

მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კლაინსმა განაცხადა, რომ ყველა კავშირების აზრით სამთომადნო მუშათა ხელფასი უნდა დარჩეს დღევანდელ დონეზე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო იქნება სხვა კავშირების მუშათა ხელფასის შემცირება. **სამთომადნო მუშები გამოიჩენდენ სიმხდალეს, თუ რომ ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევდენ ხელფასის შემცირებას**; დანარჩენი მუშები ამხანაგობას გამოიჩენდენ, თუ მხარს არ დაუჭერდენ სამთომადნო მუშებს.

ნახშირის მრეწველობისათვის მთავრობის სუბსიდიის მიცემა მიღებული იქნა.

200.000 კაცი ქუჩაში

ლონდონი, 6 აგვისტო. მიუხედავათ მუშათა პარტიის კატეგორიული მოთხოვნილებისა, შრომის მინისტრმა თემთა პალატაში უარი განაცხადა მოახდინოს კვლევა-ძიება საფეიქრო მრეწველობაში 200.000 მუშისათვის ლოკაუტის გამოცხადების შესახებ.

სუბსიდიის პირობები.

ლონდონი, 6 აგვისტო. გამოქვეყნებულ პირობებში, რომელშიაც ნახშირის მრეწველობას მიეცემა სუბსიდიები, მთავრობას მისაღებად მიაჩნია მაღაროების მეპატრონეთა მოთხოვნილება მიიღონ ნახშირის მრეწველობის მთელი შემოსავლიდან 13 პროც. წმინდა მოგების სახით. მთავრობას აგრეთვე მისაღებათ მიაჩნია მაღაროს მუშების მოთხოვნილება არსებული ხელფასის მინიმუმის დატოვების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯების დაფარვის და ხელფასის გასტუმრების შემდეგ მოგება აღმოჩნდება 13 პროცენტზე ნაკლები რომელიმე ოლქში, მთავრობა აძლევს ამ ოლქს სათანადო სუბსიდიას.

ამ მიზნისათვის საჭირო იქნება დაახლოვებით 24 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

კუკის განცხადება.

ლონდონი, 6 აგვისტო. სამთომადნო მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „საჭიროა საბოლოოდ გამოირკვეს, რომ სამთომადნო მუშათა კავშირს არავითარი საქმე არა აქვს მაღაროების მეპატრონეებსა და მთავრობის შორის დადებულ ხელშეკრულებასთან. სამთომადნო მუშათა ხელფასი უცვლელი რჩება და გადახდილი იქნება 1924 წლ. კოლექტიურ ხელშეკრულების საფუძველზე.

ემიგრაციის ჭაობში

უღირსი ადამიანების ფაცი-ფუცი

პარიზი, 6 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში რუსი მონარქისტები პარიზში ეწევიან გაძლიერებულ აგიტაციას. მონარქისტების უკიდურესმა მემარჯვენე ფრთამ დააარსა „ძველი რეჟიმის დამცველთა კავშირი" გურკოს მეთაურობით. ახალი კავშირის ცენტრი იმყოფება პარიზში. კავშირის ბერლინის განყოფილების უფროსია ოლდენბურგი.

სტრუვეს ინიციატივით პარიზში გაიმართება რუსეთის ემიგრაციის გენერალური კონგრესი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედების გეგმის გამოსამუშავებლად.

მილიუკოვმა რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ ჯგუფის სახელით უარი განაცხადა ამ კონგრესში მონაწილეობის მიღებაზე. კონგრესის მოწვევის ვადა დანიშნულია აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის.

აღმოსავლეთი

სირია

მოსულის საკითხი

ლონდონი, 6 აგვისტო. „ტაიმს"-ი იტყობინება, რომ ერთა ლიგის მიერ მოსულის საკითხის შესახებ გამოყოფილი კომისია იმ დასკვნამდი მივიდა, რომ თუ მოსული უნდა დარჩეს ირაქის განუყრელ ნაწილათ, მაშინ **ლაპარაკიც ზედმეტია სამანდატო სტატუტის გაუქმების შესახებ ირაქში 1926 წელს და ერთა ლიგის კონტროლი უნდა გაგრძელდეს 20-25 წლის განმავლობაში.** წინააღმდეგ **შემთხვევაში, თუ მანდატი განახლებული არ იქნება, უმჯობესია ხუვერენიტეტი მოსულზე გადაეცეს ოსმალეთს.**

თუ კანტროლი მოსულზე ინგლისს დარჩება, მაშინ კომისიის განზრახულია აქვს ადმინისტრატიულ-კულტურული ავტონომია მიანიჭოს მოსულის ჩრდილოეთად მოსახლეობის ნაწილს.

ირაქი

ვახაბუტების შეტევის განახლება

ლონდონი, 6 აგვისტო. ვახაბუტების მეთაურმა იბნ-საუდმა წინადადება მისცა უცხოელებს ჯედში დასტოვონ ქალაქი ორი კვირის განმავლობაში, რაც ამტკიცებს იმას, რომ მოსალოდნელია ვახაბუტების შეტევის განახლება.

სირია

ფრანგებსა და დრუზებს შორის მომხდარ შეტაკების გამო.

ლონდონი. 6 აგვ. „რეიტერის" სააგენტო აბანიდან იუწყება, რომ სირიაში ფრანგებსა და მეამბოხე დრუზებს შორის მომხდარ შეტაკების დროს, დრუზებმა ხელთ იგდეს რამოდენიმე ზარბაზანი, რომლის შემწეობითაც დაიკავეს ჯებელას სატახტო ქალაქი სუიდე. დრუზებმა ხელთ იგდეს აგრეთვე 100 აქლემი დატვირთული სურსათ-სანოვაგით და იარაღით. ფრანგებმა უკან დაიხიეს.

პარტიული ცხოვრება

თვითგანვითარების საკითხი და ჩვენი პარტიული მასსა

რამდენად ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან აღმშენებლობითი პერიოდში შედის და რამდენად ჩვენი მდგომარეობა მტკიცდება როგორც შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობაში, იმდენად უფრო შესამჩნევათ ხდება ჩვენი მშრომელი მასის თვითგანვითარებისადმი ლტოლვა.

სრულიად ბუნებრივათ უნდა ჩაითვალოს ასეთი მოთხოვნილება, რადგან თვითეულ მუშას და გლეხს სურს აქტიური წევრი გახდეს ქვეყნის აღმშენებლობაში, რაიც ერთგვარ ცოდნას და მომზადებას მოითხოვს. მაგრამ ამ მხრივ მარტო ხელმძღვანელ ლექტორების დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან ასეთი მომზადებული ძალებით საგრძნობლად ღარიბი ვართ. ამიტომ საჭიროა სხვა გზისა და სხვა საშუალებისათვის მიმართვაც, რომ ჩვენი მშრომელი მასების ლტოლვა ცოდნის მისაღებათ დავაკმაყოფილოთ.

თვითგანვითარებას ჩვენში საპატიო წარსული აქვს, რადგან ბევრმა დღეს ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელთაგანმა საფუძვლიანათ შეისწავლა მარქსისტული მსოფლმხედველობა ციხეებში და გადასახლების დროს თვითგანვითარების გზით. დღეს ამ მხრივ გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი, რადგან არსებობს სათანადოთ დამუშავებული პროგრამები და სახელმძღვანელოები და, რაც უმთავრესია, საკმაოდ დამუშავებულია თვითგანვითარების მეთოდი. ამიტომ, ვიმეორებთ, დღეს უფრო ადვილად, ვინემ ოდესმე, მუშას შეუძლია თავის მომზადება გააფართოოს და მოკლე დროში თანამედროვე ეპოქის მტკივნეულ საკითხებს საფუძვლიანათ გაეცნოს.

ოდესღაც ჩვენმა მასწავლებელმა ლენინმა სთქვა—„მუშათა კლასისათვის ცოდნა აუცილებელი იარაღია გამარჯვებისათვისო" ამ ჭეშმარიტებას დღეს ყველა კარგად გრძნობს და ამის დამამტკიცებელია ის, თუ როგორის ხალისით მიდის ჩვენი პარტიული და მშრომელი მასა ყოველგვარ კურსებზე და სკოლებში.

ჩვენ ახლო ვდგევართ ამ საქმესთან და შეგვიძლია სრულიად სინამდვილით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მუშები არაჩვეულებრივის ენერგიით ეკიდებიან ცოდნის მიღების საქმეს. არამც თუ დაგვიანებას აქვს ადგილი მეცადინეობაზე, არამედ, პირიქით, ნახევარი საათით ადრე მოდიან და თუ ლექტორი თავის დროზე არ მოვიდა, მათ საყვედურს საზღვარი არა აქვს. ეს გარემოება ჯანსაღი მოვლენაა, რაიც იმედს იძლევა, რომ ეს ხალხი სრულის შეგნებით ეკიდება გათვითცნობიერების საქმეს და. ცხადია, ასეთ პირობებში ჩვენ ახლო მომავალში მოწმე ვიქნებით ჩვენი მუშების ცოდნის საგრძნობი გაზრდის.

თვითგანვითარების საკითხში მეთოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იმის მიხედვით, თუ რაგვარი მეთოდს მოვიმარჯვებთ, შედეგიც თავისებური იქნება. ყოველთვის თვითგანვითარება ან კოლექტიური ანდა ინდივიდუალური გზით მიიმართებოდა. ორივე მეთოდს სხვადასხვა პირობებში სხვადასხვაგვარი გამართლება აქვს. ინდივიდუალური მეთოდი უფრო გავრცელებულია ინტელიგენტთა წრეში იმიტომ, რომ ისინი საკმაოდ მომზადებულად გრძნობენ თავს და შეუძლიათ დამოუკიდებლადაც იმუშაონ შინ ამა თუ იმ საკითხის დამუშავებაზე. სამაგიეროთ ეს მეთოდი სრულიად გამოუსადეგარია მუშებისათვის, რადგან მათ იმდენი მომზადება არა აქვთ, რომ მათ დამოუკიდებლად შესძლონ გონებრივი მუშაობის წარმოება.

მაგრამ დაწვრილებით ამ მეთოდის შესახებ შემდეგ.

ა. კ—ძე.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებულია ერთ-ერთი კორესპონდენტის პატარა შენიშვნა შემდეგი სათაურით „მოჯამაგირეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რაჭის მაზრაში". ამ შენიშვნის ავტორი, სხვათა შორის, იუწყება რომ: „ამჟამად რაჭის მაზრაში ბევრი მოჯამაგირეებია, რომლებიც განიცდიან ნივთიერად ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობას, რომ მათ საგრძნობ ნაწილს არავითარი საცხოვრებელი წყაროც კი არ გააჩნია. არის შემთხვევები, როდესაც მოჯამაგირეები პირდაპირ მიდიან სოფლის კულაკებთან და ეუბნებიან—სამუშაო მოგვეცით, ჭამა-სმისა და ჩაცმის მეტი თქვენთგან არაფერი გვინდაო.—კულაკები, სარგებლობენ რა ასეთი მდგომარეობით, კიდევაც დღე და ღამე ამუშავებენ და სასტიკად ყვლეფენ მათ".

რას გვეუბნება ჩვენ ეს ამონაწერი?

იმას, რომ რაჭის მაზრაში ადგილობრივი პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების მხრივ საგრძნობლად მოისუსტებს მოჯამაგირეთა შორის მუშაობა. მაგრამ ჩვენ აქ ჩვენის მხრივ შეგვიძლია დაუმატოთ, რომ არამც თუ რაჭის მაზრაში, არამედ საქართველოს სხვა ზოგიერთ მაზრებშიაც ასეთივე მდგომარეობაა.

დღეს, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა შეიჭრა სოფლადაც და ეს შედეგად იწვევს მოჯამაგირეთა რაოდენობის ზრდას—პარტიის და კომკავშირის ერთ უძირითადეს ამოცანას შეადგენს ამ მოჯამაგირეთა ორგანიზაციული დარაზმვა და გაერთიანება.

ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ მოჯამაგირეთა ნივთიერი მდგომარეობა. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოვაცხოველებთ მიწა-ტყის კავშირის მუშაობას, ამ კავშირში მასიურად ჩავაბამთ მოჯამაგირეებს და დამქირავებლებთან კოლლექტიური ხელშეკრულებების დადებით მტკიცე თვალყურს ვადევნებთ „მის ცხოვრებაში გატარებას.

მაგრამ ამ საქმეში ადგილობრივად დიდი როლი უნდა ითამაშონ პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციებმა, რადგან მიწა-ტყის კავშირის კომიტეტებთან მხოლოდ სწორი ურთიერთობით და მჭიდრო კავშირით შესაძლებელია მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაჩაღება და იმ არანორმალურ მოვლენათა აღმოფხვრა, რომლებსაც თუგინდა რაჭის მაზრაში აქვს ადგილი.

როგორც ზემოაღნიშნული კორესპონდენციის ავტორი გვატყობინებს, რაჭის მაზრაში თემკომების მასშტაბით ჯერ ადგილკომებიც არ ყოფილან დაარსებული და მოჯამაგირეთა აღწერაც არ არის ჩატარებული.

საჭიროა ყოველივე ამას სამაზრო კომიტეტმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

ა—ე.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის პარტორგანიზაცია პირველი ივლისისათვის თავის რიგებში ითვლიდა 1000 მეტს წევრს და კანდიდატს. ეს ციფრი საუკეთესო საბუთია იმისა, რომ ორგანიზაცია ყოველთვიურად იზრდება რიცხობრივად. ორგანიზაციის წევრთა დისციპლინა და მათი პოლიტიკური განვითარების დონე სასურველ სიმაღლეზე სდგას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში თვით ქ. ქუთაისის ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ ჯგუფობრიობას, კინკლაობას, მაგრამ სათანადო ზომების მიღების შემდეგ ის ძირფესვიანად აღმოფხვრილი იქნა. თვით სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები და გაფართოებული პლენუმები სისტემატიურად იმართება. შინა-პარტიული დემოკრატია ორგანიზაციაში სავსებით გატარებულია. ყველა უჯრედებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები. უჯრედებს ეძლევათ აგრეთვე წერილობითი დარიგებანი. იმას წინად მოწვეული იქნა უჯრედების მდივნების და ბიუროების წევრების თათბირიც. ასეთი თათბირები ყოველთვიურად იმართება. ამ თათბირებზე მუშავდება უჯრედების სამუშაო გეგმა და შუქდება უჯრედებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგების მოვალეობანი. პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობაც მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.

დ. ვ—ლი.

ქალთა შორის მუშაობა ფოთის მაზრაში

ფოთის ქალთა განყოფილების მთელი ყურადღება ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში უმთავრესად მიმართული იყო დელეგატ-ქალთა შორის მუშაობისაკენ, რადგანაც ზაფხულის პერიოდში გლეხ-ქალთა ფართო მასებს შორის მუშაობა შეფერხდა იმ მიზეზით, რომ ისინი ჩაბმული არიან ოჯახის საქმეებში და არა აქვთ მოცლა. საანგარიშო პერიოდში დელეგატ-ქალთა კრებები მოწვეული იყო სულ 7-ჯერ, ხოლო ქალ-ორგანიზატორების კი 2-ჯერ. რაც შეეხება საქალაქო საერთო კრებებს ასეთი მოწვეული იყო სამჯერ, სადაც გაკეთებული იქნა მოხსენებები სხვადასხვა სნეულებათა შესახებ. არსებობს რამოდენიმე ქალთა წრეებიც. ამას გარდა ქალთა განყოფილებას ყულევის რაიონში გახსნილი აქვს ჭრა-კერვის სკოლა, სადაც მეცადინეობს 20-მდე გლეხი-ქალი. ერთად-ერთი ნაკლი, რომელსაც აქ ხაზი უნდა გაესვას, არის ის, რომ ქალთა განყოფილებას არა აქვს შემოღებული წარმომადგენლის გაგზავნა სახალხო სასამართლოში. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

პარტკორი მ. ნ—ძე

გერმანიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

რას ამბობენ დელეგატები

თბილისიდან გამგზავრების წინ გერმანელმა დელეგატებმა ოტტო რიხტერმა, ბეერმა და ვილჰელმ ბეკერმა ჩვენს თანამშრომელს გამოსაქვეყნებლად გადასცეს ქვემოთ მოყვანილი წერილები:



მანს ბაქ

დელეგაციის თავმჯდომარე,
თონე, კომუნისტი.



Liebe Arbeitsbrüder und Schwestern von Georgien! Heute habe ich bei der Demonstration zu Euch sprechen dürfen und war überrascht von Eurer Begeisterung und Eurem revolutionären Geist.
Ich werde ihn hinübertragen in die deutschen Lande. Zum Abschied sende ich Euch ~~nochm~~ durch den „Kommunist" nochmals unseren herzlichen, brüderlichen Gruß!

Otto Richter Chemnitz
Metallist



მელე

ხის დამმუშავებელი, ს.-დ.



ლიუტიშ

მელითონე, კომუნისტი

ძვირფასო ძმებო და დებო, საქართველოს მუშებო!

დღეს, დემონსტრაციის დროს მე მქონდა საშუალება მელაპარაკა თქვენთან და მე აღტაცებაში მომიყვანა თქვენმა აღფრთოვანებამ და რევოლიუციონურმა აღტყინებამ.

გერმანიაში დაბრუნებისას იქაურ მუშებს მე გადავცემ თქვენს მხურვალე სალამს და პასუხს გამცემთ „კომუნისტი"-ს საშუალებით.

ერთხელ კიდევ გულითადი და ძმური სალამი.

ოტტო რიხტერ.

ქემნიტც, მელითონე.



[illegible]

Tiflis 6. 8. 25

A. Baer.
München

ჩვენი სურვილი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მენშევიკებმა არ შეუშალონ ხელი საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას, რომელმაც მიზანშეწონილათ გადასჭრა ეროვნული საკითხი.

ამ შემთხვევაში, თუ გარედან მოისურვებს ვინმე თქვენს შინაურ საქმეებში ჩარევას, საქართველოს პროლეტარიატს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი თანაგრძნობა მის მხარეზე იქნება.

თბილისი, 6 აგვისტო, 25 წ.

ა. ბეერ.

მიუნხენი.



[illegible]

დღეს ჩვენ ვტოვებთ სტუ
მოყვარე თბილისს. დიდხანს
დაგვავიწყდება თქვენი გუ
დი ძმური მიღება.

გულითადი სალამი და
მესი მადლობა.

ვილჰელმ ბეკ
ოფენბახი მაინზე, სოც.-

დემოკრატია და დემოკრატიზმი

(ილ. ვარდენ მგელაძის წერილის გამო.)

პარიტეტული კომიტეტის გასამართლების, ჩემი ჩვენების დროს, ილ. ვარდინ-მგელაძე არ დასწრებია. რომ დასწრებოდა, უფრო გაიგებდა რაც მე ვთქვი, ვიდრე გაუგია მოკლე საგაზეთო ანგარიშებიდან. ჩემი შენიშვნის აზრი სწორეთ ასე იყო, რომ ორი სხვადასხვა ცნებაა დემოკრატია და დემოკრატიზმი.

ათი აპრილის რეზოლიუციაში ჩვენ გვქონდა ფორმულა „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ". ჩვენი პოლიტიკური მუშაობის პროცესში გამოირკვა შინაარსი ამ ფორმულის. გამოირკვა დაპირდაპირება დემოკრატიის საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. პოლიტიკური მუშაობის ხაზი ისტორიულ გარდაუვალობის, აუცილებლობის ძალით მიმართული შეიქნა იმისკენ, რომ საბჭოთა სისტემა შეცვლილიყო დემოკრატიით.

ორი წლის არალეგალური მუშაობის გამოცდილებამ, დაკვირვებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდის, რომ ეს დაპირდაპირება არ არის რევოლიუციონური გზა. რუსეთის და საქართველოს პირობებში საბჭოთა სისტემის შეცვლა დემოკრატიით ვერ მოგვცემს დემოკრატიზმს.

მილიუკოვი ებრძვის საბჭოთა ძალაუფლებას დემოკრატიის სახელით, მილიუკოვს უნდა პოლიტიკურ დემოკრატიაზე აგებული რესპუბლიკა. მაგრამ ის ვერ მისცემს მუშებს და გლეხებს, რაც აკლიათ დღეს, დააკარგვინებს კი, რაც აქვთ. რუსეთის სოციალ-დემოკრატია ებრძვის საბჭოთა ძალა-უფლებას დემოკრატიის სახელით. მისი მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა სისტემის მაგიერათ. მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ გაუძლებს ფაშისტური რეაქციის მოწოლას. დასავლეთ ევროპაში იმდენი არაფერი გაუდის ამ რეაქციას. მუშათა დემოკრატიას იქ ას წლიწადზე მეტი ისტორია აქვს. მუსოლინები და ჰინდენბურგები იქ უძლური არიან, იძულებული არიან ითმინონ კომუნისტური პარტიების არსებობაც. რუსეთში ეს ვერ მოეწყობა. მუსოლინები და ჰინდენბურგები აქ უფრო რეაქციონური იქნებიან, ვიდრე არიან ევროპაში.

ამიტომ ჩამოგდება შეიარაღებული აჯანყების გზით თუ შეცვლა იმ გზით, რომელზედაც დგას რუსეთის მენშევიზმის ორგანო „სოციალისტური ვესტნიკი", სულ ერთია, რუსეთში ჩვენ ვერ მივიღებთ იმ დემოკრატიას, რომლის შინაარსიც იქნება დემოკრატიზმი.

საბჭოთა სისტემა არ ეწინააღმდეგება დემოკრატიზმს. პირიქით ამ სისტემას შეეფერება დემოკრატიზმი უფრო ფართო, ვიდრე სხვა რომელიმე სისტემას. ეს ასეა თეორიაში, ეს ასე არ არის პრაქტიკაში. პრაქტიკა ეწინააღმდეგება თეორიას. არ არის ის პროლეტარული დემოკრატია, რომელიც უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე.

ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამოქალაქო ომის პირობებში, საბჭოთა ძალაუფლება ეხლა აყენებს ამას თავის დღის წესრიგში.

მოსკოვის „პრავდა" სწერს—„ამჟამად საბჭოთა დემოკრატიის კითხვებს ჩვენ ვაყენებდით განყენებულად, თეორეტიულად, ზოგადათ. ეხლა ჩვენ აუცილებლათ უნდა განვიხილოთ და დავაყენოთ ეს კითხვები პრაქტიკულად, კონკრეტულად, ადგილობრივი პირობების მიხედვით. *)

რას ნიშნავს დემოკრატიზმის გადატანა თეორიიდან პრაქტიკაში?

ამ კითხვის საპასუხოთ მე მივმართავ ისევ მმართველი პარტიის პრესას, და მოვიყვან ამონაწერებს:

— „ბრძანებლობა კი არა, ყური უნდა უგდოთ უპარტიო წრეებს, კი არ უნდა ვასწავლოთ მხოლოდ მათ, უნდა ვისწავლოთ კიდეც მათგან უნდა ვაცნობდეთ გლეხებს, ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ იმ კანდიდატებს, რომლებსაც აყენებენ გლეხები. ჩვენი მიზანი მიღწეული არ იქნება, თუ გლეხობიდან გამოსული კანდიდატი ჩამოშორდა გლეხობას და აღარ იქნა მისი აზრის გამომხატველი... *)

— „მემარცხენეების შეცდომა იმაში იყო, რომ ისინი ვერ აფასებდენ მასის პრობლემას, და მიზნათ ისახავდენ, რომ ფორმალური პარტიობა მოეხვიათ თავზე უპარტიო ორგანიზაციებისათვის" **)

— „მეურნეობა მძლავრათ ფართოვდება, ამასთან ერთად და ასე უნდა ფართოვდებოდეს მასების ჩაბმა ყოველდღიურ საბჭოთა მუშაობაში. სოციალისტური აღმშენებლობა მაშინ განხორციელდება, როცა მისი აქტიური მონაწილე შეიქნება მთელი მშრომელი ხალხი"... ***)

— „რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიცილოთ თავიდან ე. წ. დანიშვნის წესი კოოპერაციაში..." ***) „წარჩევნო სისტემა კოოპერაციაში უნდა განხორციელდეს აუცილებლათ, არჩევნები აქ უნდა იყოს სრული და ნამდვილი..." *****)

— „საბჭოების გამოცოცხლება ის ლოზუნგია, რომელიც არ ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დიქტატურას. პირიქით, ჩვენ ეხლა იმიტომ ვაყენებთ ამ ლოზუნგს იმ მიზნით, რომ გავამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა..." *****)

— „ძალდატანების მეთოდებზე თანდათან უნდა ავიღოთ ხელი მართვა-გამგეობაში, უნდა გადავიდეთ დარწმუნების მეთოდებზე („к методам убеждения"), თავი უნდა დავანებოთ შიშველი ბრძანებლობის გზას და რაც შეიძლება მეტი გლეხობა ჩავაბათ მიმდინარე კითხვების გარჩევაში,—ეს არის ეხლა ჩვენი მართვა-გამგეობის ამოცანა... *****)

ამისთანა სტრიქონებს ბევრს ვიპოვნით დღეს საბჭოთა პრესაში. ეს არის უდიდესი რევიზია საბჭოთა აღმშენებლობითი პრაქტიკის. ძალაუფლება შემდგარია იმ გზაზე, რომ ფართო საძირკველი ჩაეყაროს მშრომელ დემოკრატიას, დემოკრატიზმს. ამას მოითხოვს ეკონომიური აღორძინება, ეს არის [illegible] აზრი საბჭოთა სისტემის.

სოციალისტური აღმშენებლობა ვერ მოიკიდებს ფეხს, თუ მშრომელთა ხალხის ფართო წრეები არ ჩაებნენ შიგ, ამ მიზნით ხდება დაახლოვება უპარტიო მუშებთან და გლეხებთან, ამ მიზნითაა შემოღებული საწარმოო თათბირები (производственные совещания) მრეწველობაში. ამიტომ არის დაჟინებითი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კოოპერაციას დაებატრონოს თვითონ მომხმარებელი მასა და თვითონ ირჩევდეს გამგეობას, ამისათვისაა უარყოფა ზემოდან დანიშვნის, ბრძანებლობის და შიშველი ძალდატანების მეთოდების.

ეს არის ის, რაც გამომდინარეობს საბჭოთა სისტემის ბუნებიდან და რაც პრაქტიკულად ვერ სრულდებოდა აქამდის. ეს არის დემოკრატიზმის გზა სოციალიზმისკენ. ეს გზა გამოდის საბჭოთა სისტემიდან და არა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ დაპირდაპირებით.

დაპირდაპირების ნიადაგზე აუცილებელია შეიარაღებული აჯანყება. ჩემი არალეგალური მუშაობის ხანაში, დღის წესრიგში აქტუალურათ არ გვიდგა საკითხი შეიარაღებული აჯანყების შესახებ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აუცილებლათ უნდა მივდგომოდით ამ საკითხს, რაკი მიზნათ გვქონდა საბჭოთა ძალაუფლების შეცვლა, როცა ამ შეცვლით გვინდოდა გადასვლა დემოკრატიაზე.

ის ხანა არალეგალური მუშაობის, რომელსაც სათავეში ედგა ქ. ანდრონიკაშვილი, ლოღიკური, აუცილებელი გაგრძელებაა იმ ხანის, როცა ერთი-ერთი მოთავე არალეგალური მუშაობის ვიყავი მე, თუმცა იმავე დროს ერთი ხანა ეწინააღმდეგება მეორეს.

დაპირდაპირების ხაზი წაიშლება სავსებით, თუ ჩვენ მივიღებთ დემოკრატიზმს პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, თუ ეს დემოკრატიზმი გამოვა თვითონ საბჭოთა სისტემის წიაღიდან. აქ უკვე რეალური იქნება შესაძლებელი ის თანამშრომლობა საბჭოთა ძალაუფლებასთან, რომელზედაც უნაყოფოთ ვლაპარაკობდით ჩვენ 1921 წლიდან.

ისტორიამ უნდა დასძლიოს დაპირდაპირების იდეა და მაშინ აღარ ექნება ნიადაგი იმ მუშაობას, რომელმაც მოგვიყვანა აგვისტოს დღეებამდის. დაძლევა დაპირდაპირების იდეის კი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ფორმულა „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ" შეიცვლება ფორმულით „საბჭოთა დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ", როცა საბჭოთა ძალაუფლება თვითონ აიღებს ინიციატივას ამ მეორე ფორმულის გატარებაში.

ს. დევდარიანი

---

*) Правда, 12 ივლისი, 1925 წ.

*) „Правда", 3 მარტი, 1926 წ.
**) Правда 24 მარტი 1925 წ.
***) Правда 26 მარტი 1925 წ.
****) Правда 25 მარტი 1925 წ.
*****) Правда 5 აპრილი 1925 წ.
******) Правда 14 აპრილი 1925 წ.

დემოკრატია თუ დიქტატურა

(პასუხი სეით დევდარიანს)

პოლიტიკურ ფორმულას: „დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისაკენ" აქვს გარკვეული კლასიური, ბურჟუაზიული შინაარსი. არსებითად ეს ნიშნავს: ბურჟუაზიულ ბატონობის საშუალებით, ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში—სოციალიზმისაკენ. რა თქმა უნდა, ფაქტიურად ეს არის მოტყუება, ეს ნიშნავს კაპიტალისტურ ძალა-უფლების განმტკიცებას და შენარჩუნებას. ბურჟუაზიული ბატონობა შეუძლებლათ ხდის მოძრაობას სოციალიზმისაკენ,—ამიტომაცაა, რომ ბურჟუაზია მაგრად ებღაუჭება ხელისუფლებას.

ამ ყალბ ფორმულას ბოლშევიზმი უპირდაპირებს მეორე პოლიტიკურ ფორმულას, რომელსაც აქვს აგრეთვე განსაზღვრული კლასიური პროლეტარული შინაარსი: „პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმისაკენ". ამ დიქტატურის ფორმაა—საბჭოები.

1919—1920 წ. წ. ევროპის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, უწინარეს ყოვლისა გერმანელი დამოუკიდებლები სცდილობდენ **შეეგუებიათ, შეეერთებიათ [დემოკრატია და დიქტატურა, დამფუძნებელი კრება და საბჭოთა სისტემა.** გერმანიაში ეს „შეგუება" ჯერ კიდევ 1919 წელს დამთავრდა ბურჟუაზიის გამარჯვებით: სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მოიწვია „სრულიად სახალხო" ნაციონალური კრება და მოახდინა საბჭოების ლიკვიდაცია.

სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო: არ შეიძლება „უჩრედილკის"—ბურჟუაზიული ბატონობის კლასიკური ფორმის — შეთავსება საბჭოთა სისტემასთან—პროლეტარიატის ბატონობის კლასიკურ ფორმასთან. ასეთი შეგუების ცდა—ან შეგნებული მოტყუებაა, ან უაზრო „მანილოვშჩინა". საბჭოთა სისტემა და დემოკრატია, როგორც პოლიტიკური სისტემები, გადაჭრით უპირდაპირდებიან ერთმანეთს, გადაჭრით უარყოფენ ერთი მეორეს.

ლენინი არა ერთხელ დაუზოგავათ, თავს ესხმოდა მემარცხენე-მენშევიკურ პროექტებს დემოკრატიის და საბჭოთა სისტემის შეთავსების შესახებ, ის ააშკარავებდა ამ გეგმის მთელ სიყალბეს, მთელ უტოპიზმს.

ეხლა, პროლეტარული დიქტატურის მერვე წელს, სეით დევდარიანს ამოაქვს არქივიდან კრისპინ-გილფერდინგის შესანიშნავი თეორია და აწვდის მას საბჭოთა საზოგადოებას საკუთარი აღმოჩენის სახით. დევდარიანი სწერს:

„10 აპრილის რეზოლიუციაში ჩვენ გვქონდა ფორმულა: „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ". ჩვენი პოლიტიკური მუშაობის პროცესში გამოირკვა ამ ფორმულის შინაარსი. გამოირკვა დაპირისპირება დემოკრატიის საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. პოლიტიკური მუშაობის ხაზი ისტორიული გარდაუვალობის, აუცილებლობის ძალით მიმართული შეიქნა იმისაკენ, რომ საბჭოთა სისტემა შეცვლილიყო დემოკრატიით. ორი წლის არალეგალური ბრძოლის გამოცდილებამ, დაკვირვებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს დაპირდაპირება არ არის რევოლიუციონური გზა".

დევდარიანისათვის საჭირო იყო „არალეგალური მუშაობის" გამოცდილება იმისათვის, რათა მაინც ვერ გაეგო, რომ პოლიტიკური დემოკრატია პრინციპიალურად, არსებითად ეწინააღმდეგება საბჭოთა სისტემას, პროლეტარულ დიქტატურას. განა დამოუკიდებლად ყოველგვარი „არალეგალური მუშაობა" ნათელი არ არის, რომ ამ ორ პოლიტიკურ სისტემას აქვს ორი სხვადასხვა კლასიური შინაარსი და ამიტომ უარყოფს ერთი მეორეს?

საქმე იმაში კი არ არის, მოჰყავს თუ არა ხელისუფლებას ამა თუ იმ ფორმას მეტ თუ ნაკლებ „დემოკრატიზმისაკენ" სიტყვის ჩვეულებრივ მნიშვნელობით—მთელი საკითხი იმაშია **რომ საბჭოთა სისტემის შეცვლა პოლიტიკური დემოკრატიით ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის შეცვლას ბურჟუაზიულ დიქტატურით.** დევდარიანს ვერ შეუგნია ეს გადამწყვეტი გარემოება. ის ფიქრობს, რომ მხოლოდ „რუსეთის და საქართველოს პირობებში საბჭოთა სისტემის შეცვლა დემოკრატიით ვერ მოგვცემს დემოკრატიზმს, რომ, პირიქით, აქ საბჭოებს შეცვლის ისეთი ძალაუფლება, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებ „დემოკრატიული" იქნება, ვიდრე დღეს არსებული" სულ სხვა საქმეა ევროპა: იქ, დევდარიანის აზრით, რეაქციას არ შეუძლია მოსპოს დემოკრატიზმი.

თუ დევდარიანი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ძალა-უფლებას შესცვლის ისეთი ძალა-უფლება, რომელიც მას მისცემს უფრო მეტ ფორმალურ დემოკრატიულ „უფლებებს", მაშინ ის სულ სხვანაირად ილაპარაკებდა მისთვის, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების არა კლასიურ ბუნებას, არა კლასიურ შინაარსს, არამედ ფორმალურ დემოკრატიულ ატრიბუტების რაოდენობას!

პროლეტარული რევოლიუციონერი სულ სხვანაირად მსჯელობს. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ფორმალური „უფლებების" რაოდენობას, არა „დემოკრატიზმს", როგორც ასეთს, არამედ ხელისუფლების თვისებას, ბუნებას, ამ ხელისუფლების პროგრამას, დევდარიანისათვის საკითხის ამნაირად დაყენება არ არსებობს. ის, როგორც ტიპიური ინტელიგენტი, დაინტერესებულია უწინარეს ყოვლისა საკითხით, ვინ უფრო მეტ ფორმალურ „უფლებებს" მისცემს, ვინ უკეთესად მოაწყობს, უფრო ლამაზად მორთავს სახელმწიფოებრივ შენობის ფასადს. თუ ხვალ ის დარწმუნდება, რომ პროლეტარული დიქტატურა შეიძლება შეიცვალოს სხვა გარეგნულად უფრო „დემოკრატიულ" ძალაუფლებით, ის მხარს დაუჭერს საბჭოთა სისტემის ლიკვიდაციას, ვინაიდან მისთვის მთავარია—ძალაუფლების არა შინაარსი, არამედ ფორმა.

აი ამიტომ დევდარიანი ილაშქრებს საბჭოთა სისტემის და პოლიტიკური დემოკრატიის დაპირდაპირების წინააღმდეგ. აი ამიტ
სწერს:

—„დაპირდაპირების ხაზი წ
ლება სავსებით, თუ ჩვენ მივიღ
დემოკრატიზმს პროლეტარია
დიქტატურის ნიადაგზე, თუ ეს
მოკრატიზმი გამოვა თვითონ ს
ჭოთა სისტემის წიაღიდან. ის
რიამ უნდა დასძლიოს დაპირდ
რების იდეა და მაშინ აღარ ექ
ნიადაგი იმ მუშაობას, რომელ
ჩვენ მიგვიყვანა აგვისტოს დღე
დის".

ნურას უკაცრავათ: ჩვენ არაე
შემთხვევაში არა ვართ თანახმა
სა, რომ „დაძლეული იქნას",
ზალოს" საბჭოთა სისტემის და
ლიტიკურ დემოკრატიის „დაპირ
პირების იდეა". პირიქით, ჩვენ
კვიდატორობად მივაჩნია საბჭ
სისტემის და პოლიტიკურ დე
ტიის სრული დაპირდაპირების
ის წაშლა. დევდარიანის პოზ
მთლიანად დამყარებულია ამ
დილვაზე, ძალაუფლების ამ ორ
ტემის პრინციპიალური შეურ
ლობის ღაღადვაზე.

**დემოკრატიის და საბჭოთა ს
ტემის წინააღმდეგობა აუცი
ლად არსებობს ბუნებაში, ვინა
არსებობს შეურიგებელი წინა
დეგობა ბურჟუაზიულ და პრო
ტარულ ბატონობის შორის.** ამ
დამყარებული „დაპირდაპირ
იდეა", რომლის „დაძლევაც"
დევდარიანს. მას არ ესმის, რომ
„დაძლევა" არაა დამოკიდებ
საბჭოთა ხელისუფლებაზე. საბ
ძალა-უფლების ის „დემოკრატი
ცია", რომელიც ასე ახარებს
დარიანს და რომელიც არსებით
წარმოადგენს საბჭოთა სის
გაუმჯობესებას, მოწესრიგებას,
თუ არ ამცირებს, არამედ აძ
რებს წინააღმდეგობას საბჭოთა
ტემასა და პოლიტიკურ დემ
ტიას. როგორც ხელისუფლების
ტემის, შორის.

ვინაიდან, ნუ თუ დევდარ
ფიქრობს, რომ ბურჟუაზია და
დამცველი სოციალ-დემოკრატია
წყვეტავენ ჩვენდამი სიძულვილს
სათვის, რომ ჩვენ ვადიდებთ
ჭოთა აღმშენებლობაში უ

ახალი მეთაურები და პოლიტმუშაკნი წითელ არმიას

დღეს მოხდება ქვეითა ჯარის სკოლის, ქართულ გაერთიანებულ და სამხედრო-პოლიტ-სკოლის უფროსი კლასის და ტ. პ. ს. განვითარებითი განყოფილების კურსანტთა საზეიმო გამოშვება. გამოშვების ზეიმზე მიპატიჟებული არიან პარტიულ, კომკავშირის, პროფორგანიზაციების და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბილისის გარნიზონის წითელ-არმიელთა ნაწილები.

მისალმება სამხედრო სასწავლებელ კურსდამთავრებულებისადმი

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი სამხედრო სასწავლებლებიდან პოლიტ-მუშაკების და მეთაურების გამოშვების დღეს მხურვალე სალამს უძღვნის წითელი არმიის ახალ მეთაურებს და ახალ პოლიტ-მუშაკებს.

ახსოვს რა, რომ პროლეტარიატის ძლევამოსილ სვლის ხელმძღვანელს ბურჟუაზიასთან ბრძოლაში წარმოადგენს ძლიერი კოლექტივი რ. კ. პ. სახით, თბილისის კომიტეტმა ამავე დროს იცის, რომ წითელი არმიის, პროლეტარიატის ამ დასაყრდენის, შეიარაღებული ძალას უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრება პარტიის მიერ ცალკე ამხანაგებს, რომელნიც ატარებენ პარტიის ხაზს და რომელთაც მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებისა მოუპოვეს საბჭოთა ხელისუფლებას

ეხლა თქვენი გამოშვებით წითელი არმიის ხელმძღვანელ ამხანაგებს ეძლევათ დიდი დახმარება. თქვენი სახით მათ ემატებათ დიდი დამხმარე და შემცვლელი ძალა.

როგორც ახალი ძალა, გამოცოცხლებას და სიცხოველეს შეიტანთ თქვენს მუშაობაში, ასწევთ შემოდგომაზე ჯარში გაწვეულ ახალ წითელარმიელთა შეგნებას.

დიდია თქვენი ამოცანები. მათ შესასრულებლად საჭიროა უდიდესი ენერგია, მაგრამ რევოლიუციის წარმატება მოითხოვს ჩვენ—რევოლიუციონერებისაგან ხანგრძლივად ენერგიის დაჭიმვას და საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენ, რომელნიც ზეიმით გამოდიხართ სამხედრო-სასწავლებლებიდან, შესძლებთ მუშაობას პროლეტარულ საქმის გასამარჯვებლათ, როგორც ამას მოითხოვენ თქვენგან რევოლიუციის ამოცანები.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი გისურვებთ თქვენ სრულ გამარჯვებას მომავალ მუშაობაში.

საქ. კომპარტიის თბილისის
კომიტეტი.

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მესამე გამოშვება

დღეს, 8 აგვისტოს. ხდება გამოშვება ახალ მეთაურებისა სამხედრო სასწავლებლებიდან მთელ ს. ს. რ. კავშირში. ამ დღესვე უშვებს ქართველ მეთაურთა სკოლაც ახალ მეთაურებს ქართული წითელ ჯარისათვის. ეს გამოშვება არის უკვე მესამე გამოშვება.

124 ახალი მეთაური გამოსულა მხოლოდ მუშურ-გლეხურ წრიდან, სამხედრო საქმესთან ერთად პოლიტიკურადაც მომზადებული სერიოზულ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ახალგაზრდა წითელი ლაშქრის აღმშენებლობის საქმეში.

როგორი უნდა იყოს მათი მომავალი მუშაობა? სკოლას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გამოუშვას ყოველმხრივ განვითარებული და დამთავრებული მეთაური პოლიტმომუშავე, მაგრამ ის აძლევს ახალ მეთაურებს ცოდნას, რომელიც საჭიროა, როგორც საფუძველი მათი მომავალი თვითგანვითარებისათვის.

თვითეულ მეთაურს, რომელიც გადის სკოლიდან, უნდა ჰქონდეს შეგნებული ის საპასუხისმგებლო მუშაობა, რომელიც მას მოელის ნაწილში.

საპატიო მოვალეობა, რომელიც კურსანტებმა იკისრეს, გამხდარიყვნენ შეგნებული და მომზადებული მუშაკები მშრომელთა რესპუბლიკის დაცვის საქმეში, სრულებითაც არ არის შესრულებული იმით, რომ ამათ დაამთავრეს სამხედრო სკოლა; ეს არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმული. უფრო მეტი გასაკეთებელია. არავინ არც ერთი წუთითაც, მარტო სამხედრო სკოლის დამთავრებით თავისი მოვალეობა შესრულებულად არ უნდა ჩასთვალოს საჭიროა უპირველესად გამოცდა და პრაქტიკულად გამოყენება ამ ცოდნისა და შემდეგ, რასაკვირველია, მისი გაღრმავება. წითელ ჯარს მარტო იმ მიზანს კი არ ემსახურება, რომ მან მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობიდან გამოსჭედოს რკინის დისციპლინით აღჭურვილი სამხედრო ძალა; მისი მიზანია აგრეთვე თვალების ახელა ახალგაზრდობისათვის, მისი განათლება, გათვითცნობიერება, რომ გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრების შეგნებული მონაწილე.

ამ დიად მიზნის მიღწევა ბევრით არის დამოკიდებული მომზადებულ ენერგიულ მეთაურებზე და ჩვენი მეთაურებიც უნდა დადგენ ამ თავიანთ მოვალეობის სიმაღლეზე და გაამართლონ ის იმედები, რომლებსაც ამყარებენ მათზე არა მარტო წითელი არმია, არამედ ყველა პატიოსანი მშრომელები.

ჩვენი წითელი არმია არ არის მარტო პოლიტ-ცოდნის სკოლა. სამხედრო-სამწყობრო საქმე და მასში დახელოვნება პირველი საფუძველია ჩვენი არმიის ძლიერებისა, საზოგადოებრივი პოლიტიკური მომზადება უნდა იყოს ამ ძლიერების მეორე საფუძველი, ხოლო მათი მოხერხებულათ შეთანხმება რაც ჩვენთვის უმთავრეს ამოცანათ უნდა ჩაითვალოს დღეს, უნდა შესძლონ ჩვენმა წითელმა მეთაურებმა.

კომუნისტური პარტია სულის ჩამდგმელი და შემქმნელია წითელი არმიისა.

პარტიული ახლად გამოშვებული მეთაურები ვალდებულნი არიან შემატონ ახალი ენერგია პარტიულ მუშაობას ჩვენს ნაწილებში. ჩვენი სახელოვანი კომკავშირი სერიოზულ ორგანიზაციათ ითვლება დღეს ჩვენს არმიაში, მას სჭირია ორგანიზაციულათ უფრო ჩამოყალიბება, რომ შესძლოს მოიხელოს და გადახაროს ის გლეხური ახალგაზრდობა, რომელიც აწყდება მის კედლებს; კომკავშირელი მეთაური ფხიზლათ უნდა ადევნებდეს თვალყურს ამ პროცესს და მთელი თავისი ცოდნა ენერგია და ავტორიტეტი უნდა მოახმაროს კომუნისტურ პარტიისათვის ღირსეულ კადრის მომზადებას.

პროლეტარულ კულტურის, ახალ ყოფა ცხოვრების და სხვა მრავალი თანამედროვე სოციალური საკითხების გაშუქებაში ჩვენი წითელარმიელებისათვის, ახალი მეთაურები პიონერები უნდა იყვნენ. სკოლაში ყოფნის დროს ისინი არ მოსწყვეტიან ჩვენი მუშებისა და გლეხურ ცხოვრებაში (ჩვენი კურსანტები ხომ მათი შვილები არიან), ან ჩამოსცილდებიან საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას. ნაწილებში ყოფნის დროს მით უფრო აუცილებელია ეს.

არც ერთმა მეთაურმა არ უნდა დაივიწყოს, რომ დასახული მიზნების მიღწევა წითელარმიელთა მასებში მუშაობის დროს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მათ (მეთაურებს) ექნებათ შესაფერი ავტორიტეტი. ავტორიტეტის მოპოვება აუცილებლად გულისხმობს რამდენიმე პირობებს. ეს პირობებია: ცოდნა-შეგნება, სამაგალითო და ფაქიზი ყოფა-ქცევა და ღრმად ჩაწვდომა წითელარმიელის სულის სიღრმეში.

აი გზა, რომელზედაც უნდა იაროს ახალმა მეთაურმა.

გაუმარჯოს ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მესამე გამოშვებას.

გაუმარჯოს ახალ მეთაურებს და მათ მომავალ მუშაობას ქართულ ლაშქრის ასაყვავებლად.

ა. რამიშვილი.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

არალიკვიდაციაქმნილ ქონების სარეალიზაციო ბიურო

ა|კ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდა არალიკვიდაცია ქმნილ ქონების სარეალიზაციო ბიურო: ს. მ. უ. საბჭოს, პროფკავშირის საბჭოს, რესპუბლიკანური საფონდო კომისიის და ფინსახკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საწარმოთა სპეციალურ სამრეწველო ფონდის დაარსება

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, საქართველოს ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში არსებულ საწარმოთა სპეციალური სამრეწველო ფონდის დაარსება ეკონომიურმა საბჭომ ზედმეტად სცნო.

ს. მ. უ. ს. საბჭოს ტრესტის 1923—24 წ. მოგება

წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. საბჭოს შეუთანხმდეს ა|კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს, ს. მ. უ. ს. საბჭოს ტრესტის 1923—24 წ. მოგებიდან 240.000 მან. ხაზინაში ავანსად შეტანის შესახებ.

საურთიერთო ნდობის საზოგადოება ქუთაისში

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო დაარსდეს ქუთაისში საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი“

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინადადება სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი“-ს 300.000 მ. აქციების ა|კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის სახელზე გამოყოფის შესახებ, გადაეცა განსახილველად საქართველოს სახ. საგეგმო კომისიას.

ქვანახშირისაგან აგურაკების დამზადების გამო

ს. მ. უ. ს. მიერ წარმოდგენილი ტყიბულის ქვანახშირისაგან აგურაკების და ნახევარ ნახდის დამზადებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა 30,000 მანეთის რაოდენობით.

ს. კ. პ. ც. კ. სტამბის წესდების დამტკიცება

საქართველოს კომპარტიის ცეკას სტამბის წესდების პროექტი იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად, დამტკიცებულ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

1-ლ აგვისტოსათვის

(ა.-კ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მასალებიდან)

ივლისის მეორე ნახევარის ამინდი ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ეს დასავლეთ საქართველოში და აჭარისტანში, სადაც სითბო ჩვეულებრივზე ნაკლები იყო.

ნიაღვარმა აჭარისტანში, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას; ნიაღვარმა ზოგიერთ რაიონებში გააფუჭა სიმინდის, თამბაქოს და სხვა ნათესები.

სხვა რაიონებში წვიმებმა დადებითი გავლენა მოახდინა ბაღებზე, ბოსტნებზე, ბალახზე და ხელი შეუწყო ყოველგვარი მცენარეულობის ზრდას და დამწიფებას.

ამიერ-კავკასიის ნათესებიდან ნაწილობრივი გაუმჯობესება ეტყობა 15 ივლისის მდგომარეობასთან შედარებით მხოლოდ გვიან დათესილ კულტურებს, უმთავრესათ, სიმინდს, ბამბას და მაღალ მთებიან რაიონების ნათესებს; საერთოდ კი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მთავარი პურეულის მდგომარეობა უცვლელი რჩება.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში 1-ლი აგვისტოსათვის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

შემოდგომის ნათესები—2,8, გაზაფხულის ნათესები—3,2, მთავარი პურეული—3,0.

ნათესების მდგომარეობა, რომელიც საშუალოთ იქნა მიჩნეული 15 ივლისისათვის, ასეთათ რჩება 1-ლ აგვისტოსათვისაც.

ცალკე კულტურების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: შემოდგომის პური—2,9, შემოდგომის ქერი—2,8, გაზაფხულის პური—2,7, გაზაფხულის ქერი—2,9, სიმინდი—3,4, მთავარი პურეული—3,0.

შემოდგომის პურის მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდა სომხეთში და საქართველოში.

მთავარი პურეულის მდგომარეობა ცალკე რესპუბლიკებში: აზერბეიჯანი—2,6, სომხეთში—2,5, საქართველო—2,5, მთელ ამიერ-კავკასიაში—2,5.

ვენახების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში 15 ივლისთან შედარებით რამოდენიმეთ გაუმჯობესდა. 15 ივლისს იყო 3,0 ნიშანი, ახლა არის—3,1.

ვენახების მდგომარეობა აზერბეიჯანში და სომხეთში უცვლელი დარჩა, საქართველოში კი გაუმჯობესდა (3,5 ნიშანი 3,3 ნაცვლად, რომელიც იყო 15 ივლისისათვის).

გაუმჯობესება ეტყობა ბორჩალოს, გორის, სიღნაღის, ქუთაისის და რაჭის მაზრების ნათესებს.

გაუარესება ეტყობა ბამბის ნათესებს აზერბეიჯანში 0,1 ნიშნით. საქართველოში 0,2 ნიშნით. მდგომარეობა სომხეთში უცვლელია.

უმნიშვნელო გაუარესებას იძლევა აგრეთვე თამბაქოს ნათესობაც 3,2 ნიშანი 3,3 წინააღმდეგ, რომელიც იყო 15 ივლისისათვის.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით აზერბეიჯანში და საქართველოში მდგომარეობა უცვლელია. გაუარესებას იძლევა სომხეთი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთავარი პურეულის და თამბაქოს ნათესების მდგომარეობაა, მიმდინარე წელში გაცილებით უკეთესია იმ მდგომარეობაზე, რომელიც იყო შარშან ამ დროს; ბაღების და ვენახების მდგომარეობა გაცილებით უარესია შარშანდელთან შედარებით.

ბამბის ნათესების მდგომარეობა აზერბეიჯანში და სომხეთში გაუარესდა 0,1 ნიშნით, საქართველოში კი გაუმჯობესდა 0,3 ნიშნით შარშანდელ მდგომარეობასთან შედარებით.

ქრონიკა

— **ინვალიდების მდგომარეობის** გამოსარკვევად სოციალურ აღზრდის უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მაზრებში დაგზავნა ინსტრუქტორები.

— **დაფნის გატანა.** საქ. ინვალიდთა კოოპერატიულმა „შენაერთმა“ საქართველოდან რუსეთში სარეალიზაციოდ გაგზავნა ხუთი ვაგონი გამხმარი დაფნის ფოთოლი.

— **მიწების გაცემა სახლების ასაგებად.** თბ. აღმასკომმა საბინაო აღმშენებლობის ამხანაგობას, სახლების ასაგებად ქალაქის სხვადასხვა რაიონში გადასცა 73,811 კვად. საშენი მიწა.

— **სახლების შეკეთება.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ დღემდე შეაკეთა 178 საბჭოთა სახლი.

— **ზაჰესის მე-4 ტურბინა**, რომელიც დამზადებული იქნა ლენინგრადში, ამ დღეებში მიიღებენ თბილისში.

— **ტრამვაის დირექცია** შეუდგა ტრამვაის მასალების ახალი საწყობის აგებას.

— **ახალი ბაღი.** თბ. აღმასკომის დადგენილებით ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან გაშენებული იქნება ახალი ბაღი კათოლიკების სასაფლაომდე.

— **დასაზღვევი თანხა.** ივლისის განმავლობაში თბ. დამზღვევ კასას მუშა-მოსამსახურეთა დასაზღვევი პროცენტებისაგან შემოუვიდა 226,985 მან. 13 კ.

— **პენსიის გაცემა.** თბ. დამზღვევ კასამ ივლისში პენსიის სახით გასცა 15,234 მან., აქედან შრომის ინვალიდებს მიეცათ—11,574 მან.

— **დასასვენებელი სახლების** საჭიროებისათვის თბ. დამზღვევ კასამ ივლისში გაიღო 2500 მან.

— **მომქმედი სატელეგრაფო** დაწესებულება ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში არის 253.

— **ტელეგრაფის ბოძების** დასაცველად ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა გადასდო 90,950 მ.

— **დახმარება უმუშევრებს** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ ივლისში დაზღვეულ უმუშევრებზე ფულადი დახმარების სახით გასცა 2041 მან.

— **საექიმო დახმარება სოფლებს.** ჯანსახკომის [illegible] საქართველოში გაგზავნილი [illegible] მკურნალთა [illegible] აწარმოებს მუშაობას. დღემდე 4 გლეხს გაუკეთეს მძიმე ოპერაცია, სასურველი შედეგებით.

— **სანიმუშო გამოფენა.** ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი რეშტში და თავრიზში აწყობს საბჭოთა კავშირის შინა-ნაწარმოების სანიმუშო გამოფენას.

— **აჭარის ტყავის** ქარხნისათვის 25—26 წ. რუსეთიდან შემოტანილი იქნება 30.000 ფ. ნედლი მასალა.

— **სატელეფონო ხაზი.** დამთავრდა გეგმის შედგენა ბათომსა, ოზურგეთსა და ფოთს შორის სატელეფონო ხაზის გაყვანის შესახებ. მუშაობას შეუდგებიან ამ ხანებში.

— **ხელფასის მომატება.** ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის კავშირმა დაადგინა მუშა-მოსამსახურეებს გაუდიდდეს ჯამაგირი.

— **ზოოტექნიკური სადგური.** მიწად-მოქმედების კომისარიატს განზრახული აქვს მომავალ წელში მოაწყოს ზოოტექნიკური (მესაქონლეობის დარგში ცდების მოხდენით) გამოკვლევა.

— **პარკის შესყიდვაზე.** საზოგადოება „აბრეშუმმა“ ჯერჯერობით დახარჯა 2 მილ. მან.მეტი.

— **თამბაქოს დამზადება.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ცეკავშირმა დაამზადა 1.200 ფუთი თამბაქო.

— **საქონლის მიწოდება.** აპრილიდან ივლისამდე ცეკავშირმა თავის კოოპერატივებს მიაწოდა 178.733 მ. საქონელი.

— **ნიგვზის ხეების დამზადება** ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ იკისრა 100,000 ფუთი ნიგვზის ხეების დამზადება ავიაციის საჭიროებისათვის.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილება იმუშავებს ცირკულიარს, საზოგადო სამუშაოების და შრომის კოლექტივების მოწყობისა და წარმოების შესახებ.

ხელოვნება

— **ვერის კლუბი.** ამ დღეებში გაიხსნება მედსანშრომის კლუბი ვერაზე.

შემთხვევები

მკვლელობა

[illegible] აგვისტოს მემწვანილეთა ბაზარში მოქ. მოქ. პეტრიაშვილს, აგაჯანოვს და ისრაილოვს მოუვიდათ ხმა-მაღალი ლაპარაკი და ერთი-მეორისადმი უშვერი სიტყვების მიმართვით დაარღვიეს წესრიგი, რისთვისაც საგუშაგოზე მდგომ მილიციელს საგუშაგოების საშუალებით გადაუგზავნია ისინი რაიონის სამმართველოში. თავისუფლების მოედანზე მოგუშავე მილიციელ გაიკაშვილს, როდესაც მიჰყავდა ისინი სოლოლაკის ქ. აფთიაქის პირდაპირ, მოქ. პეტრიაშვილმა იძრო დანა და მუცელში მძიმეთ დასჭრა მოქ. ისრაილოვი და გაიქცა. მილიციელმა მას ესროლა ჰაერში, რის დროსაც მობრუნდა პეტრიაშვილი და იმავე დანით ბარძაყში დასჭრა მილიციელი. როცა მოინდომა მილიციელისათვის დანის კიდევ დარტყმა მუცელში, მილიციელმა ის იქვე მოჰკლა. დაჭრილი ისრაილოვიც 10 წამის შემდეგ გარდაიცვალა. ორივე გვამი გადაიგზავნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

თავდასხმა

27 ივლისს, ღამის 1-ლ საათზე სოფ. კუმბითის (ზემო-წალკის თემ-სამილიციო) მცხოვრ, მოქ. მელანია ჩამჩიევს შეუვარდენ ბოროტმოქმედნი და მოკლეს ხანჯლით. ამ საქმისათვის დაპატიმრებული იქნენ თვით მოკლულის ძმა ვასილ ჩამჩიევი, ელისაბედ ბალაბანოვი, ივანე იანაკოვი, ძუკა ფარნიევი, სოსლან ამოევი და ვლადიმერ ჩოპოზოვი.

— **სისხლის სამართლის** მილიციაში მომარაგების სამმართველოს თანამშრომელმა მიტროფანე კურბაკოვმა განაცხადა რომ 4 აგვისტოს მას გოსბანკში პორტფელიდან ამოაცალეს 3000 მან.

— ამავე დღეს შინა შიკანიანისას მოპარეს 201 მან. ქუჩაში.

— **ქურდი ძმა.** 4 აგვისტოს მოქ. პეტრე შჩევარდოვი გაქურდა მისმა ძმამ. წაიღო 50 მან. და ნივთები.

— **შეპყრობა.** 4 აგვისტოს შეიპყრეს სტეფანე პანასიანცი, რომელსაც ბრალდება ქეთევან ლორთქიფანიძისათვის ფულის ამოცლა.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 6 აგვისტოს ტატიანოვის ქ. № 13 გაქურდეს მიხეილ პაიჭაძის ბინა.

— ამავე დღეს, საღამოს, ბორჯომის ქ. № 6, მოქ. ირაკლი ბერძნიშვილის ბინიდან მოიპარეს 225 მან. ნივთები.

— 4 აგვისტოს მადათოვის ქ. № 1 გაქურდეს მიხეილ პოლოსოვის ბინა.

— 5 აგვისტოს, ღამით, ტროცკის ქ. № 14 გაქურდეს არუთინ ოგაჯანოვის ბინა.

— 6 აგვისტოს, დღით, ნიკოლოზის ქ. № 114 გაქურდეს კაპიტონ დარახნიკოვის ბინა.

— ამავე დღეს, დილით, გაქურდეს ალექსანდრეს ბაღში მდებარე ფარნა ურუშაძის კიოსკი. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

თხილის დამზადება

ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი თხილის დამზადების შესახებ. თათბირს დაესწრო 24 მთლიანი კოოპერატივის და აჭარისტანის ცეკავშირის წარმომადგენლები.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ცეკავშირის გამგეობის წევრი ამხ. [illegible], რომელმაც აღნიშნა, თუ როგორ გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში—ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკის და ქუთაისის მაზრებში თხილის კულტურა, რომელიც ჩვენი გლეხობის ერთ-ერთი საგრძნობ შემოსავლის წყაროთ ითვლებოდა.

მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა დიდი ზარალი მიაყენა თხილის კულტურის გავრცელების საქმეს, ვინაიდან მისი გატანა როგორც უცხოეთის, ისე შინა ბაზარზე შეუძლებელი იყო, რის გამო ზოგ ადგილებში, სამწუხაროთ, აჭრეს კიდეც თხილი და სიმინდი დათესეს.

ეხლა თხილზე დიდი მოთხოვნილებაა უცხოეთის და შინაურ ბაზარზე, და ჩვენ განზრახვა გვაქვს შევუდგეთ ხილის დამზადებას.

როგორც ყოველთვის, ამგვარ საქმეშიც ეხლა ჩვენ უმთავრეს მიზანს შეადგენს გლეხის შრომის ნაყოფიერების გადიდება; მისი შრომის ღირებულების გაზრდა, სოფლის ნაწარმოების ხელსაყრელ პირობებში გასაღება და მისი სყიდვითი უნარიანობის გაძლიერება.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, თუ როგორი უნდა იყოს დასამზადებელი თხილი, როგორ უნდა იქნეს წარმოებული დამზადება და სხვა. ფართოთ შეეხო აგრეთვე დამზადების უმთავრეს, ფინანსიურ მხარეს და ხაზი გაუსვა საქონლის სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, რის შემდეგაც განაცხადა:

ჩვენი სასოფლო მეურნეობის საქონელი თუმც ცნობილათ გადის რუსეთისა და ევროპის ბაზარზე, მაგრამ მისი დალაგება და გადარჩევა სრულიად არ შეეფერება მის ღირსებას.

ჩვენ მეურნეებს თავის ნაწარმოებები დღემდე დაუხარისხებელი და გადაურჩეველი გამოაქვთ ბაზარზე, რითაც ის ძალიან ბევრს კარგავს, თუმცა მისი საქონელი გაცილებით კარგი ღირსებისაა.

ჩვენ ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ და ამისათვის თხილის დამზადება ხარისხობით უნდა ვაწარმოოთ.

ჩვენ თხილს გავიტანთ შინაურ და უცხოეთის ბაზარზე, განსაკუთრებით კი ამერიკაში.

მართალია, ჩვენს ბაზარზე თხილის შემსყიდველებათ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად კერძოებიც გამოვლენ, მაგრამ ჩვენს გამოსვლას—ვაჭრობას შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ექნეს, არამედ ის მტკიცე კოოპერატიულ პრინციპებზე უნდა იქნეს დამყარებული.

წელს თხილის მოსავალი დასავლეთ საქართველოში იქნება დაახლოვებით 185.000 ფუთი.

თხილის მოსავლიანი რაიონების მთლიანი კოოპერატივების წარმომადგენლებმა სურვილი განაცხადეს დაამზადონ.

ზუგდიდის	მაზრაში	—43.000	ფუთი
სენაკის	„	7.000	„
ოზურგეთის	„	28.000	„
ქუთაისის	„	18.000	„
აჭარისტანში	„	5.000	„

სულ—101.000 ფუთი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა: თხილი დამზადდეს ბაზრის საშუალო ფასებში, მაგრამ არა უმეტეს იმ ფასებისა, რომელსაც ცეკავშირი დანიშნავს პერიოდულათ. ჩაბარებულ თხილში ანგარიში გაუსწორდებათ მწარმოებელთა ნაღდ ფულად.

თხილი დახარისხებული უნდა იქნეს შემდეგ ხარისხათ: 1. ნემსა ან თითა, 2. ფშველის ყურა, გულშიშველა და ანაკლიისა, 3. ჩია ან კუდრიაჩიკი და 4. ბერძნული ან ფუნდუკი.

ჩაგმულ მუშათა და გლეხთა რიცხვს? პირიქით: მით უფრო ენერგიულად ებრძოლებენ ისინი ჩვენს წინააღმდეგ, რაც უფრო გავაფართოვებთ ჩვენს გავლენას, რაც უფრო ღრმად გავიდგამთ ფესვებს.

განა ბურჟუაზია და მენშევიკები ვერ ხედავენ, რომ არა მარტო ამჟამად, არამედ სამხედრო კომუნიზმის წლებშიაც კი საბჭოთა ხელისუფლება არსებითად იყო, შეუდარებლად, უფრო დემოკრატიული, ვიდრე საპარლამენტო დემოკრატია? განა კაპიტალიზმის მსახურებმა არ იციან, რომ ისტორიას არ ახსოვს უფრო დემოკრატიული, უფრო მასიური ხელისუფლება, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება? რა თქმა უნდა იციან, რა თქმა უნდა მათ ეს ესმით, მაგრამ აქედან სახელგანთქმულ-ბურჟუაზიულ „დემოკრატებს“ არ გამოჰყავთ დასკვნა „დაპირდაპირების იდეის“ „დაძლევის“ საჭიროების შესახებ. რატომ? იმიტომ, რომ მთავარი მათთვის არის არა დემოკრატიული „გარეგნობა“, არამედ ხელისუფლების კლასიური შინაარსი.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში ბურჟუაზიია და მისი მემარცხენე ფრთა სოციალ-დემოკრატია დასთანხმდებოდენ „დაპირდაპირების იდეის“ დაძლევაზე. თუ საბჭოთა ხელისუფლება დაიწყებდა გადაგვარებას პოლიტიკურ, ბურჟუაზიულ დემოკრატიად, მხოლოდ ერთ შემთხვევაში ბოლშევიზმი დასთანხმდებოდა „დაპირდაპირების იდეის“ „დაძლევაზე“: თუ ბურჟუაზიული „დემოკრატია“ დასთანხმდებოდა თვითლიკვიდაციაზე, თუ კაპიტალიზმი თავისი ნებით ჩააბარებდა თავის პოზიციებს სოციალიზმს. მაგრამ ჩვენ ხომ დაუშვებლად მიგვაჩნია გადაგვარება, ბურჟუაზია არ ფიქრობს იარაღის დაყრას. რაზე ლაპარაკობს მაშინ დევდარიანი?

თუ თქვენ—ეუბნება ეს კეთილი ადამიანი ბოლშევიკებს—თუ თქვენ „დასძლევთ“ „დაპირდაპირების იდეას“—„მაშინ ნიადაგი მოისპობა იმ მუშაობის, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენ აგვისტოს დღეებამდისო“.

მაშ, ასე? ეს საინტერესოა! რჩევა ძალიან კარგია... ბურჟუაზიისა და მენშევიკებისათვის. და ეს აი რას ნიშნავს: „დაუშვით მენშევიკურ „დემოკრატიზმის“ ფსკერზე, დაუშვით ნელ-ნელა „დემოკრატიის“ რელსებზე და მაშინ,—რა თქმა უნდა, „აგვისტოს დღეები“ აღარ განმეორდება.

უმორჩილესი მადლობა ჭკვიანური სიტყვისათვის. მხოლოდ არ შეიძლება ასეთ „იდეოლოგიურ“ გასეირნობისათვის უფრო შორეული ადგილი აირჩიოთ?

„აგვისტოს დღეები“ თავს დაატყდათ მენშევიკებს და სხვა „პარიტეტულ“ თეთრგვარდიელებს. და მომავალშიაც ყოველგვარი „მუშაობა“, რომელიც მიმართული იქნება „აგვისტოსაკენ“, სწორედ თავს დაატყდება ასეთი „მუშაობის“ ავტორებს. განა ამგვარი „უსიამოვნებათა“ შიშით მენშევიკებისა და ნაციონალდემოკრატებისათვის ბოლშევიზმი შეცვლის თავის რევოლიუციონურ ხაზს? ნუ თუ ასეთი გაკვეთილები გამოიტანა დევდარიანმა იმ აგვისტოს ავანტიურისაგან, რომლისათვისაც ისტორიული პასუხისმგებლობა აწევს თვითონ მასაც?

⁂

დევდარიანს სრულიად არ ესმის პოლიტიკური დემოკრატიის ისტორიული მნიშვნელობა და აზრი. მისი ცნობიერებისათვის, როგორც სჩანს, ფიზიკურად შეუთვისებელია აზრი იმის შესახებ, რომ დემოკრატია განუყრელად დაკავშირებულია იმპერიალიზმთან, რომ დემოკრატია რეაქციონულია იმიტომ, რომ რეაქციონულია იმპერიალიზმი. სწორედ ამ გაუგებრობიდან გამოდის ის, როდესაც მხოლოდ რუსეთს და საქართველოს გამოჰყოფს, და ისიც მხოლოდ დღეს—პოლიტიკურ დემოკრატიის „გავლენის სფეროდან“. აი როგორ მსჯელობს დევდარიანი:

—„რუსეთის სოციალ-დემოკრატია ებრძვის საბჭოთა ძალა-უფლებას დემოკრატიის სახელით. მისი მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა სისტემის მაგივრად. მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ გაუძლებს ფაშისტურ რეაქციის მოწოლას.

დასავლეთ ევროპაში იმდენი არაფერი გაუდის ამ რეაქციას. მუშათა დემოკრატიას იქ 100 წელიწადზე მეტი ისტორია აქვს. მუსოლინები და ჰინდენბურგები იქ უძლურნი არიან, იძულებული არიან ითმინონ კომუნისტური პარტიების არსებობაც“.

საკითხი ნათელია: რუსეთში დღეს არ შეიძლება საბჭოების ლიკვიდაცია, ვინაიდან მათ ადგილს დაიჭერენ შავრაზმელები, რომელნიც მენშევიკებსაც კი ჩამოახრჩობენ, მაგრამ ევროპაში პოლიტიკური დემოკრატია მისაღებია მუშათა კლასისათვის, იქ ფაშიზმსაც არ ძალუძს წაართვას მას მტკიცეთ მოპოვებული („100 წლის ისტორია!“) „უფლებები“.

დაუშვათ, რომ ეს ასეა, დაუშვათ, რომ მუშათა კლასს ევროპაში შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ლეგალური „უფლებები“. მაგრამ განა საქმე „უფლებებშია“? განა მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა? განა მუშების მიერ „დემოკრატიულ“ „უფლებების“ შენარჩუნება უარყოფს იმ მთავარ გარემოებას, რომ ძალა-უფლება დემოკრატიის საფუძვლებზე განმტკიცებულია იმპერიალიზმის ხელში?

კარგი და პატიოსანი,—გერმანიაში და ინგლისში, საფრანგეთში და ბელგიაში მუშებს შენარჩუნებული აქვთ საარჩევნო უფლებები, სარგებლობენ ფორმალურად ყოველგვარი თავისუფლებით. სინამდვილეში კი ვინ ბრძანებლობს? საქმით კი რომელი კლასები, რომელი პარტიები განაგებენ ხალხთა მასების ბედიღბალს? კარგი და პატიოსანი,—პროფკავშირის თავმჯდომარესაც და ბანკის გამგეობის თავმჯდომარესაც ფორმალურად ერთნაირი „უფლებები“ აქვთ,—მაგრამ ვის ხელშია რეალური ძალა-უფლება? ვის ხელში იქნება აუცილებლად რეალური ძალა-უფლება, სანამ პროლეტარიატი არ დაანგრევს კაპიტალისტურ ძლიერების ფაქტიურ საფუძვლებს?

საჭიროა რაღაც სპეციფიურად მენშევიკური აზროვნება, რომ ვერ დაინახო ეს გადამწყვეტი გარემოება და დაინახო მხოლოდ ის, რომ ფორმალურად მუშებს რჩებათ „უფლებები“. საფრანგეთის მუშებმა შეინარჩუნეს „უფლებები“, ხოლო მძიმე ინდუსტრიის კომიტეტი („კომიტე დე ფორჟ“) აწარმოებს ბრძოლას მაროკოში, და რევოლიუციის გარეშე საფრანგეთის მუშები ვერავითარი „უფლებებით“ ვერ განახორციელებენ თავიანთ ნებისყოფას.

მაგრამ რა მდგომარეობაშია თვით ეს „უფლებები“? ნუ თუ ამ უფლებებს არავითარი ზიანი არ მიადგა? დევდარიანი დიდი ოპტიმიზმით უცქერის ამას: ჰინდენბურგები და მუსოლინები „იძულებული არიან ითმინონ კომუნისტური პარტიების არსებობაც კი“. რატომ ამბობთ „კომუნისტურ პარტიების არსებობაც კი“? განა კომუნისტები პროლეტარები არ არიან, მოქალაქეები არ არიან? აი ეს სიტყვა „კი“ ამჟღავნებს დევდარიანს: ის, ალბათ, ფიქრობს, რომ დემოკრატიიდან კომუნისტები შეიძლება გამორიცხულ იქნან და ამით არავითარი ზიანი არ მიადგება ამ დემოკრატიის პრინციპიალურ საფუძვლებს.

გადავიდეთ ფაქტებზე. გერმანიის კომპარტია არ სარგებლობს სრული ლეგალობით. მართალია, კომპარტიის მე-10 ყრილობა გაიმართა პრუსიის ლანდტაგის დარბაზში, მაგრამ ყრილობაზე არჩეულ ცეკას წევრების სია ვერ გამოაქვეყნეს პოლიციელების და... სოციალ-დემოკრატების შიშით. ახალგაზრდობის კომინტერნის კონფერენცია იმავე ბერლინში ჩატარდა უკვე არალეგალურად. გერმანიის ციხეები კი გავსებულია „ლეგალურად“ არსებულ კომპარტიის წევრებით.

შემდეგ—დიდი ხანია სარგებლობს გერმანიის კომპარტია თუნდაც შედარებითი ლეგალობით? მტკიცეა თუ არა ეს ლეგალობა? ფიქრობს თუ არა დევდარიანი, რომ გერმანიაში ცოტაოდენ გართულების დროს კომპარტია ისევ იატაკქვეშ არ იქნება ჩაღენილი?

იტალიაში კომპარტია არალეგალურია. მუსოლინი ითმენს მხოლოდ საპარლამენტო კომფრაქციას, მაგრამ მას რუსეთის მეფეც კი ითმენდა. სად გაქრა იტალიის „დემოკრატიული“ კონსტიტუცია? როგორ „დაამუშავა“ ახალმა ფაშისტურმა კონსტიტუციამ იტალიის პროლეტარიატის პოლიტიკური უფლებები?

როგორია მუშათა „უფლებები“ ბულგარეთში, სამხრეთ-სლავიაში, რუმინეთში, ფინეთში, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში („კანონი რესპუბლიკის დაცვის შესახებ“)? ხომ არაფერი გაუგონია დევდარიანს საფრანგეთის „დემოკრატიული“ მთავრობის ახალი პროექტების შესახებ საფრანგეთის კომუნისტების მიმართ მთავრობის, რომელსაც მხარს უჭერენ ფრანგი მენშევიკები?.. იცის თუ არა მან ინგლისელ ფაშისტების მოქმედების გაძლიერება, ინგლისის შინაგან მინისტრის ჰიქსის პრაქტიკა? ფიქრობს თუ არა ის, რომ მუშათა „დემოკრატიული უფლებების“ საუკუნო ისტორია წარმოადგენს ძალიან მცირე გარანტიას თუნდაც შეკვეცილ „უფლებების“ შენარჩუნების საქმეში?

„დემოკრატია“ გადადის ფაშიზმში, „დემოკრატიული“ პარტიები მათ შორის სოციალ-დემოკრატიაც განიცდიან ფაშისტურ გადაგვარებას, ამიტომ ყველგან—საქართველოშიაც, რუსეთშიაც, ევროპაშიაც პოლიტიკურ დემოკრატიას უნდა დაუპირდაპირდეს პროლეტარული დიქტატურა. აი რას ვერ ხედავს, ვერ ამჩნევს, ვერ იგებს კეთილი, „რიგიანი“ მენშევიკი დევდარიანი. ის ალამაზებს პოლიტიკურ დემოკრატიას, ის ფარავს პრინციპიალურ განსხვავებას დემოკრატიასა და საბჭოთა სისტემის შორის.

⁂

დევდარიანი მხოლოდ და მხოლოდ რეაქციის შიშით წინააღმდეგია საბჭოთა ძალაუფლების ლიკვიდაციის—შეიარაღებული აჯანყების საშუალებითაც და „დათმობების გამოგლეჯის“ საშუალებითაც დან-აბრამოვიჩის წესით. მაგრამ ის არაფერს ამბობს, რომ არსებობს საბჭოთა სისტემის ფაქტიური ლიკვიდაციის გზა მისი „დემოკრატიული“ გადაგვარების საშუალებით. და დევდარიანის მთელი ლაპარაკი „საბჭოთა ხელისუფლების „დემოკრატიზაციის“. „დაპირდაპირების“, „გადალახვის“ შესახებ სწორედ ამ გადაგვარებისკენაა მიმართული.

რას ნიშნავს მისი მტკიცება, რომ საბჭოთა დემოკრატიზმი „წაშლის“ წინააღმდეგობას პოლიტიკურ დემოკრატიასა და საბჭოთა სისტემის შორის? მხოლოდ ერთს: პროლეტარული დიქტატურის შინაგანი შინაარსი გამოშიგნული იქნება, დარჩება მხოლოდ გარეგნობა, რომელიც არც ისე შეაშფოთებს მოქალაქე „დემოკრატებს“. ჩვენ ვხვდებით ამ „დემოკრატიულ“ სულისკვეთებას და მის წინააღმდეგ ვაწარმოებთ დაუზოგავ ბრძოლას.

დევდარიანს მოჰყავს ციტატები საბჭოთა პრესიდან. როგორ განმარტავს ის ამ ციტატებს?

ყური დაუგდეთ:

„ეს არის უდიდესი რევიზია საბჭოთა აღმშენებლობის პრაქტიკის. ძალაუფლება შემდგარია იმ გზაზე, რომ ფართო საძირკველი ჩაეყაროს მშრომელ დემოკრატიას, დემოკრატიზმს. ამას მოითხოვს ეკონომიური აღორძინება“.

დევდარიანს ლიკვიდატორულად, გადაგვარების ხაზით ესმის ჩვენი მიმდინარე პოლიტიკა. ის ხედავს მასში თანდათანობით „დაშვებას მუხრუჭებზე“. ტიპიური—ესერულ „მშრომელ დემოკრატიას“ ის ხმარობს არა შემთხვევით. ის ფიქრობს, რომ ჩვენ ვანხორციელებთ „კლასთა თანასწორობის პოლიტიკას, დასაწყისისათვის კი „დემოკრატიულ კლასთა თანასწორობას“.

დევდარიანს არ ესმის, რომ სანამ არსებობს კლასები, კლასთა თავისუფლება და თანასწორობა „ბურჟუაზიული მოტყუებაა“. (ლენინი). მას არ ესმის, რომ მესაკუთრე, თუნდაც წვრილი და პროლეტარი, ფაქტიურად თანასწორნი არ არიან. მას არ ესმის, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა არის ძალაუფლება ერთი კლასის, რომელიც თავის ხელში იღებს ახალი სახელმწიფოებრიობის მთელ აპარატს, ამარცხებს ბურჟუაზიას და ნეიტრალურს ხდის მთელ წვრილ ბურჟუაზიას გლეხობას, „ობივატელშჩინას“, ინტელიგენციას“ (ლენინი).

თუ დავუჯერებთ დევდარიანს—გამოდის, რომ საბჭოთა ხელი უფლება დადგა მის, დევდარიანის, პლატფორმაზე, („მე მაშინ წამოვაყენე ფორმულა: „საბჭოთა ხელისუფლების გზით „დემოკრატიზმისაკენ“, მე ეხლაც ვაყენებ მას. იგი კიდეც ცხადდება ცხოვრებაში“).

უკეთეს შემთხვევაში ეს გაუგებრობაა. საბჭოთა ხელისუფლება მიდის თავისი გზით,—დევდარიანს თავისებურად ესმის გზა. რა უყოთ,მას აქ ელის კიდევ ერთი იმედის გაცრუება.

მაგრამ, თუ საქმე იმაში იქნებოდა, რომ დევდარიანისათვის დაგვენახვებია მისი შეცდომა, მაშინ ამაზე ლაპარაკიც არ ღირდა. დევდარიანის გამოსვლის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ მან მიაგნო საფრთხეს, რომელიც ბუნებაში არსებობს და რომლის წინაშე ჩვენ თვალების დახუჭვა არ შეგვიძლია. ჩვენი პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე ლენინი მადლობას უხდიდა „სმენავეხოველებს“ „კლასიური სიმართლისათვის“. ეს სიმართლე ლენინმა „სმენავეხოველების“ სიტყვით შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ბოლშევიკებს შეუძლიათ სთქვან, რომ მათ ეს (ე. ი. ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ი. ვ.) მოსწონთ, ნამდვილად კი ეს ტაქტიკა არ არის, არამედ ეს არის ევოლიუცია, შინაგანი გადაგვარება, ისინი მივლენ ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ სახელმწიფომდე“.

ასე გაიგეს „სმენავეხოველებმა“ ახალი ეკონომიური პოლიტიკა. განა დევდარიანმაც ასე არ გაიგო ფაქტიურად დღევანდელი ჩვენი პოლიტიკა?

რატომ გადაუხადა ლენინმა მადლობა „სმენავეხოველებს“? რატომ ფიქრობდა ის, რომ „ასეთი გულწრფელი მტრები სასარგებლონი არიან. უნდა ითქვას პირდაპირ?“ აი რატომ:

„ისეთი რამ, რომელზედაც უსტრიალოვი ლაპარაკობს, შესაძლებელია. ისტორიამ იცის ყოველგვარი გარდაქმნა. დაყრდნობა რწმენაზე, ერთგულებაზე და სხვა საუცხოვო სულიერ თვისებებზე, ეს ყველაფერი პოლიტიკაში სრულიად არა-სერიოზული საქმეა... მტერი ამბობს კლასიურ სიმართლეს. მიგვითითებს იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. მტერი სცდილობს, რათა ეს აუცილებელი გახდეს. „სმენავეხოველები“ გამოხატავენ მრავალ ათას ყოველგვარ ბურჟუების, ან საბჭოთა მოსამსახურეების, ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მონაწილეთა სულიერ განწყობილებას. **ეს არის ძირითადი და ნამდვილი საფრთხე, და ამიტომ ამ საკითხს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება: მართლაც, ვინ ვის აჯობებს“.** (ლენინი, თხზულ. ტომ. მე-18. ნაწ. 2 გვ. 38—39).

მადლობა უთხრათ ჩვენც სეით დევდარიანს „მტრის კლასიურ სიმართლისათვის“,—ისიც ხომ გამოხატავს ჩვენი „ახალი ეკონომიური პოლიტიკის“ მრავალ და მრავალ მონაწილეთა სულიერ განწყობილებას! მადლობა უთხრათ დევდარიანს და წავიდეთ წინ ჩვენი გამოცდილი ბოლშევიკური გზით და შევებრძოლოთ ყოველგვარ საფრთხეს, რომელიც პროლეტარულ დიქტატურას ემუქრება.

ილ. ვარდინი-მგელაძე.

მუშათა ცხოვრება

ვის ახლოვს ასეთი უსამართლობა?

(შრომის პროკურორის საყურადღებოდ).

ამას წინად რკ. გზების ხე-ტყის დამმუშავებელმა განყოფილებამ გადასწყვიტა დაეტოვებინა მუშა-მოსამსახურეთათვის 1922 წ. დაგროვებული ზედმეტი თანხა პრემიის სახით. შეადგინეს სიები, რომელიც დამტკიცებული იქნა გზის გამგეობის და პოლიტ-სამდივნოს მიერ, რის შემდეგ ბარე თვენახევარი გავიდა და ამ სიების შესახებ არავითარი ამბავი აღარ მოდიოდა. მუშა-მოსამსახურეები თითქმის ყოველ დღე დადიოდენ აქა-იქ ამბავის გასაგებათ, ვინაიდან ერთად-ერთი იმედი ამისგან ჰქონდათ, მაგრამ ვერავინ ვერაფერს გახდა, ვერაფერი გაიგეს, რადგან რაღაც მიზეზების გამო ეს საკითხი მეტად საიდუმლოდ ინახებოდა. სამშაბათს ყველგან დატრიალდა ამბავი, რომ ზოგიერთმა მოსამსახურეებმა საიდუმლოდ ფული მიიღესო და მართლაც ასე ყოფილა. ზოგიერთებისათვის მიეცათ 200—300 მან. აღელდენ დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები ამ უსამართლობის გამო.

რაშია საქმე?

მუშკორი ტა—ლი.

მოსპეთ ამნაირი ბანაობა

(მთ. მილიციის საყურადღებოდ)

მუხრანის ხიდთან რიყეზე მტკვრის ნაპირას, სომხის ეკლესიის, ვანქის პირდაპირ აუარებელი ტიტველ-შიშველი ბიჭ-ბუჭები ბანაობენ წყალში, რასაც შედეგად ჰყვება ხშირი შემთხვევები დახრჩობის.

ნუ თუ არ შეიძლება მილიცამ ამას სასტიკი ყურადღება მიაქციოს და აუკრძალოს ბიჭ-ბუჭებს ბანაობა.

მუშკორი—ვარდი.

როგორ მოავგვარეთ კონფლიქტი

(წერილი სუფსიდან).

დ. სუფსაში არსებობს საბჭოთა აფთიაქი და საბჭოთა საექიმო პუნქტი. ორივე ეს დაწესებულებანი მეტად სიმპატიური დაწესებულებაა და მათ წარმატებით მუშაობას და არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რაიონის მცხოვრებლებისათვის. აფთიაქის გამგეთ მოწვეულ იქნა მოქ. აფ. ურატაძე, გამოცდილი და კარგი ფარმაცევტი, რომელმაც აფთიაქი მართლაც კარგ დონეზე დააყენა, როგორც ყველანაირი წამლების შეძენის მხრით, ისე მათი დამზადების და მოწოდების მხრითაც. საექიმო პუნქტს განაგებს ექიმი მაქსიმოვიჩი, რომელიც ახალგაზრდა ენერგიული კაცია, და მალე გაეცნო ჩვენს რაიონის მცხოვრებთ როგორც კარგი ექიმი. ჩვენ გვიხაროდა, რომ საქმე კარგად იყო დაყენებული და აფთიაქიც კარგი გვქონდა. ხალხი კმაყოფილი იყო. მაგრამ სამწუხაროთ აფთიაქსა და საექიმო პუნქტს შორის მალე უთანხმოებამ იჩინა თავი. შემოვიდა განცხადება საბჭოში—ერთი მხარისა, რომ მეორე მხარე მის მუშაობას ხელს უშლის. ჩვენ გვეწყინა ეს ამბავი. არ გვინდოდა მათ შორის უთანხმოება. ჩაერია კონფლიქტში ალმასკომი, საბჭო, კომისია. იქნა გამოსწორებული ნაკლი.

საკითხი ამოწურულია. კონფლიქტი მოგვარებულია. აფთიაქი და საექიმო პუნქტი ისევ განაგრძობენ სოლიდარულ თანამშრომლობას მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ.

აბდ-ელ-ქერიმ.

დატვირთული მუშები ტროტუარზე

(ერთი სურათი)

სატახტო ქალაქის მთავარი ქუჩა.

შუა ტროტუარზე მოდის წელში მოღუნული ქურთის მუშა ზურგზე უშველებელი ხორცით, ბარკალი განზეა გაშვერილი, სისხლი მოსწვეთს.

— ჯახ!—დაეჯახა სისხლიანი ბარკალი ვიღაც გამვლელს შუბლში.

— რას შვრები, შე ოხერო!—შეუტია დაზარალებულმა მუშას.

— ოხერიც ხარ, ტიელიც! ვერა ხედავ, მოვდივარ, ცოტა იქით გაიარე რაღა!—შეუტია თავის მხრივ მუშამ.

— ტროტუარი იმისთვის კი არ არის, რომ ზედ ტვირთით იაროთ!

— ეგ შენი საქმე არ არის! მილიცია არ გვიშლის და შენ ვინა გდიხარ!

გამვლელმა ხელი ჩაიქნია და თავის გზას გაუდგა.

მართალია თუ მილიცია არ უშლის დატვირთულ მუშებს ტროტუარზე სიარულს, უბრალო მოქალაქეს რა შეუძლიან?!

მუშა ნიკო ას—ლი.

მადლობას უძღვნით

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუხრანის სასწავლო მამულში მყოფი აგრონომიული ფაკულტეტის მოვარჯიშე სტუდენტობამ რიცხვით 80 კაცმა დაადგინა საერთო კრებაზე დიდი მადლობა გამოუცხადოს პატივცემულ დოცენტ დიმიტრი გედევანიშვილის იმ ორი მნიშვნელოვანი ექსკურსიის ჩატარებისათვის, რომელიც მის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა ალაიანის მამულში და სოფ. ოძისში.

კრების თავმჯდომარე: ა. სეხნიაშვილი.

მდივანი: ვ. არაბიძე.

რკინის გზის წარმოებებში

— **ნებართვას ითხოვენ.** სალიანდაგო სამსახურის მე-7-ე უბნის საწარმოო თათბირმა აღძრა შუამდგომლობა სალიანდაგო სამსახურის წინაშე, რათა ნება დართოს მე-7-დე უბანს თავის სახელოსნოებში დაამზადოს სამეურნეო წესით ეს სანიმუშო იარაღები, რომელიც სამასალო საწყობში არ მოიპოვება.

— **შესყიდვა.** სალიანდაგო სამსახურის მე-7-დე უბნის საწარმოო თათბირმა მიმართა სამმართველოს ნება დართოს უბანს იმ მასალათა შესაძენათ, რომელიც მთავარ საწყობში არ არის.

— **ნიჩბები.** სალიანდაგო სამსახურმა მიმართა სამასალო დარგს შეიძინოს კარგი ხარისხის ნიჩბები სალიანდაგო მუშაობისთვის.

— **თვითღირებულების გამორკვევა.** სალიანდაგო სამსახურის მე-7-ე უბანი შეუდგა ყველა დარგის ნამუშევართა თვითღირებულების გამორკვევას. გამორკვევა დასრულდება მოკლე ხანში.

— **დამთავრებას მოითხოვენ.** სად. ხაშურის საწარმოო თათბირმა მიმართა სამმართველოს დაასრულოს ახლო ხანში დეპოს გაფართოების საქმე.

— **ახალი დინამო.** სად. ბათომის საწარმოო თათბირმა დაადგინა დასდგას რკინის გზის ელსადგურში 35 ცხენის ძალიანი დინამო-მანქანა.

— **სესხის გაფართოება.** სალიანდაგო სამსახურის მე-7-ე უბანმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს გააფართოოს სესხი საექსპლოატაციო წარმოებისათვის.

წერილები პროვინციიდან

როგორ ვებრძოლოთ საეკლესიო დღესასწაულებს

ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ ძველი ზნე-ჩვეულებებით ცხოვრობს. ეხლა ხშირია შემთხვევები, როცა საეკლესიო დღესასწაულებს გლეხობა მამაპაპური ქეიფითა და დროს ტარებით იხდის. განსაკუთრებით მაგრათა აქვს დრომოჭმულ ადათებს გადგმული ფესვები სოფლის ძველ თაობაში.

ყველას ეს ალავერდობები, გიორგობები, ფერიცვალობები, ამაღლობები მთელი თავისი სიმძიმით უფრო მეტად ღარიბ გლეხობას აწვება კისერზე, რომელიც, ძალიანაც რომ არ სურდეს, ხშირით იძულებულია მაინც გადაიხადოს დღეობა და ამით მტერ-მოყვარესთან პირი არ შეირცხვინოს.

ხშირათ არის ისეთი დღესასწაულებიც, რომლის არც ისტორიულ, არც საეკლესიო მნიშვნელობას სოფლის მოსახლეობა არ იცნობს, მაგრამ ჩვეულების მიხედვით მაინც დღესასწაულობს მას. ასეთია მაგალითად ოქრონობა და ტეხისობა ზემო იმერეთში.

არის ისეთი სოფლებიც, სადაც რამდენი კუთხეა, იმდენი უქმე-დღესასწაულია წელიწადში. ყოველ სამ ან ორი თვის განმავლობაში ხან ერთ კუთხეშია ქეიფი და დროს ჩარება, ხან მეორეში.

გარდა იმისა, რომ ასეთი დღესასწაულები თავის დიდი და უაზრო ხარჯებით მეტად ვნებს სოფლის მეურნეობას, რადგან ზოგჯერ „სირცხვილში" ჩავარდნილი გლეხი მთელი წლის სარჩო-საბადებლის ნახევარს ხარჯავს სტუმრების პატივსაცემათ, ამ დღესასწაულებს ის უარყოფითი მხარეც აქვს, რომ ეს უქმეები ამაგრებენ ხალხში ცრუმორწმუნეობას და ხელს უშლიან სოფლად ახალ ყოფა-ცხოვრების, რევოლიუციურ ზნე-ჩვეულების განმტკიცებას.

აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს დღესასწაულები ხშირათ ცემა-ტყეპით, ხანჯლების და კეტების ტრიალით თავდება და მოქეიფეთა ჭირისუფალი სიხარულის ნაცვლად მეორე დღეს შავებში იმოსება.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამის ამოფხვრა შესაძლებელია ადმინისტრატიული ზეგავლენით, ან უხეში აგიტაციით. როდესაც გლეხს მიუთითებ ასეთი დღესასწაულების დაუშვებლობაზე—ის, თითქმის ყოველთვის ერთ და იმავე პასუხს იძლევა.

— ეს არის ჩვენი ერთად-ერთი დროს გატარების დღეები, აქ ვხვდებით ერთმანეთს მტერ-მოყვარენი, აქ ვუზიარებთ გლეხები ერთმანეთს ჩვენს ჭირ-ვარამს, დიდხენას და მწუხარებასო.

თქმა არ უნდა, ეს მეტად საგულისხმო და სამართლიანი პასუხია. ამიტომ არ შეიძლება ამ ფაქტის უყურადღებოთ დატოვება. მხოლოდ ჩვენს სოფლის ორგანიზაციებს და მოწინავე ელემენტებს სულ სხვანაირათ მართებთ საკითხისადმი მიდგომა.

მათ უნდა წაართვან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ინიციატივა ასეთ დღეებში სოფლის ბნელ ძალებს და ღვდელ-დიაკვნებს. მათ დღესასწაულს სულ სხვა შინაარსი უნდა მისცენ, რომელიც დააკმაყოფილებს გლეხობასაც და არც ახალ მშენებლობის გადაელობება წინ.

წარმოდგენები, ფეხბურთაობა, კინო-სურათები, პიონერთა ორგანიზაციების თამაში და ყოველი სხვა ასეთი, განსაკუთრებით ამ დღეებში უნდა იმართებოდეს. აქ ყველაზე ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს მიტინგებს, მოურიდებელ ანტირელიგიურ პროპაგანდას და, მით უფრო, ეკლესიის მსახურთა შეურაცხყოფას.

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ სოფლად იმ ბოროტების ამოფხვრას, რომელიც ხელს უწყობს ხალხის სიბნელეში ყოფნას და გლეხის წვითა და დაგვით მოყვანილ სარჩოს ერთ ან ორ დღეებში უსარგებლოთ ანიავებს.

ი. ბრელისელი.

ცრუკორესპონდენტების წინააღმდეგ

საბჭოთა პრესა იმით განირჩევა, სხვათა შორის, ბურჟუაზიულ ბეჭდვითი სიტყვისაგან, რომ ის მიზნათ ისახავს გახდეს არა მხოლოდ პრესათ ხალხისათვის, არამედ თვით ამ ხალხის, მშრომელი მასის უშუალო მონაწილეობით შექმნილ ბეჭდვითი ორგანოთ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის ჟურნალ-გაზეთების ირგვლივ თავს იყრის მუშა და გლეხ-კორესპონდენტების ათეულ ათასების ლაშქარი. ყველასათვის, ვისაც კი რამდენადმე ემარჯვება აზრის წერილობით გამოთქმა და ვინც ამ უნარს საბჭოთა კეთილდღეობას მოახმარს, თავისუფალია ჩვენი გაზეთების ფურცლები.

მუშა და გლეხ-კორესპონდენტს რედაქცია არავითარი დაბრკოლებით არ ზღუდავს, როგორც ეს ბევრს კიდევ სამწუხაროთ დღესაც ასე ჰგონია. არც პარტიულობა, არც საზოგადო კრების ან რომელიმე ორგანიზაციის მიერ არჩევა, არც საგანგებო მანდატი საჭირო არაა იმისათვის, რომ ვინმეს მუშკორის ან გლეხკორის სახელი მიენიჭოს.

ასეთ საპატიო სახელწოდებისათვის საჭიროა მხოლოდ შემდეგი: ფაბრიკა-ქარხნის, ან სოფლის ჭირ-ვარამთან ახლო დგომა და იქ წამოჭრილ საკითხების კეთილსინდისიერათ გადმოცემა-გაშუქება.

სამწუხაროთ არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი კორესპონდენტები რედაქციის ნდობას ბოროტად იყენებენ და პირადი ინტერესით გატაცებული, ან რომელიმე ჯგუფის ზეგავლენით გაზეთს ცალმხრივი ხასიათის და ზოგჯერ პირდაპირ ყალბი შინაარსის წერილებს აწვდიან.

ამას შედეგათ მოსდევს დაუსრულებელი მიწერ-მოწერა გაზეთში წამოყენებულ ბრალდების გასაბათილებლად. ბოლოს და ბოლოს ცრუ კორესპონდენტი გამოაშკარავებული რჩება და საზოგადოებრივ აზრის შეცდომაში შეყვანისათვის პასუხისგებაშიაც ეძლევა.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა პირობებში არამც და არამც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კერძო ანგარიშის გასასწორებლათ, ან ჯგუფური ინტერესების იარაღათ.

ჩვენმა კორესპონდენტებმა სოფლად და ქალაქად, სანამ ისინი აიღებენ კალამს ხელში, ყოველმხრივ უნდა ასწონონ და შეაფასონ ფაქტი, რომლის შესახებაც დაწერას მოინდომებენ; უნდა დაფიქრდენ იმაზე, ხომ არ ექნება მათ კორესპონდენციას უნებლიე შეცდომის ხასიათი, რადგან ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე; უნდა შეამოწმონ კორესპონდენცია საბჭოთა აღმშენებლობის, მშრომელი ხალხის სარგებლიანობის თვალთახედვის ისრით.

გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხკორის ან მუშკორის მიერ ფაქტის პირადათ შემოწმებას. გაგონილის და მოთხრობილის შესახებ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, სანამ ის გაზეთის ყურადღების საგნათ გახდებოდეს.

ი—ა.

სოფლის ქრონიკა

— **მეაბრეშუმეობას** წელს შორაპნის მაზრაში ნაკლებად ეწევიან გლეხები თუთის ხის სიმცირისა და აგრონომიულ დახმარების სისუსტის გამო.

— **ახალი ხიდი.** შორაპნის სამაზრო ალმასკომი ამ ჟამად მდ. ძირულ აზე აგებს ხიდს.

— **ფილოქსერა.** ლიუქსემბურგის რაიონში გავრცელდა ფილოქსერა, რომელიც ანადგურებს ზვრებს. მიღებულია აგრონომიული ზომები მის წინააღმდეგ.

— **საექიმო დახმარება.** შორაპნის თემის საექიმო დახმარების პუნქტი დღეში ღებულობს 30 ავადმყოფს. უღარიბეს გლეხებს და დაზღვეულებს დახმარება ეძლევათ უფასოდ.

— **ღვინის მოსავალი.** რაჭაში ღვინის მოსავალს იმ ადგილებში სადაც ყინვებს ვენახები არ დაუზარალებია, კარგი პირი უჩანს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 37.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა—მიწის კოდექსის 94 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის 94 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„94. მიწის ნორმების დაწესებისათვის საქართველოს ქალაქები გაიყოფა სამ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიეთვლება თბილისი, ბათომი, ქუთაისი, სოხუმი და ფოთი; მეორეს—გორი, სიღნაღი, თელავი, ახალ-სენაკი, ახალციხე, ჭიათურა და ოზურგეთი და მესამეს ყველა დანარჩენი ქალაქები".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. ივლისის 16.

თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი აცხადებს იმ ამხანაგების საყურადღებოთ, რომელნიც არ გატარებულან შემოწმებაში, რომ ერთეულების შემოწმების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 10 აგვისტო. აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოწმება ითვლება დამთავრებულათ. საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შაბათს საღამოს 8 საათზე პარტშემოწმებაში გასატარებლათ.

1. აბდურახმანოვი კადირ, 2. ოვანესიანი სიპსიძე, 3. ცოცკაშვილი ვასილი, 4. ხაკობოვი არტემ, 5. რადჩენკო ლიდია, 6. ისრაილოვი არშენაკი, 7. ტარახანოვი გრიგოლი და აგრეთვე მოსამსახურეები, რომელნიც არ გატარებულან შემოწმებაში.

მე-3 რაიკომის მდივანი—ფირალოვი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს 3 დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან.

1. ვეზიროვი ჯალილ, 2. ფირცხალავა ვარლამ, 3. ქეიშვილი ნესტორ, 4. არიახინი გ. შ.

ღრმად დამწუხრებული სიძე დავით გრიგოლის ძე, და, ეფროსინე ივანეს ასული შვილებით: ვალოდია და მარგალიტა ნასარიძეები, აუწყებენ ყველა მეგობარ-ამხანაგებს საყვარელი

სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. № 2185—2—1

ღრმად შეწუხებულნი სეით ქიქინაძე, დავით მირიანაშვილი, ალექსანდრე პოლტარაცკი, ალექსანდრე რიჟამაძე და ალექსანდრე ჯორჯიკია აუწყებენ ძვირფასი, პატიოსანი მუშაკის და ამხანაგის

სიმონ ჯორბენაძის

ამა 6 აგვისტოს უდროოთ გარდაცვალებას. № 2198—1—1

გულმოკლულნი ალექსანდრე ცინცაძე, სიმონ ყუფარაძე, მელენტი თოფურია ლევან შოთნიევი და ილია ხუნწარია აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა/წ. აგვისტოს 6-ს უდროვოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი ამხანაგი და მეგობარი

სიმონ ივანის ძე ჯორბენაძე

№ 2205—1—1

ღრმად დამწუხრებული ცოლი სოფიო, შვილი თამარა, აუწყებენ თავის ნათესავთ და მეგობართ საყვარელი ქმრის და მამის

სიმონ ივანესძე ჯორბენაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 9 ამა თვეს ნაშუადღევის 4—საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე საკუთარ ბინიდან კადეტის ქუჩიდან № 2

2184 3—2

ღრმად დანაღვლიანებულნი უახლოესი მეგობრები: ვანიჩკა იაშვილი, დათიკო წერეთელი, აკაკი მგალობლიშვილი, ლადო ფანიაშვილი და აპოლონ სვანიძე, ძვირფას საყვარელ და დაუვიწყარ—მოქალაქის, მეგობრის და ამხანაგის

სიმონ ივანესძე ჯორბენაძის

სიკვდილით, 6—სა აგვისტოს მძიმე ნერვიულ ავადმყოფობის შემდეგ აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს, აგვისტოს 8-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ცხედრის ბინაზე კადეტის ქუჩა № 2. 2184 2—2

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები ქრისტესა და ელისაბედი ომიაძენი, ძმები ივანე, კოსტა და იოსები ომიაძენი, ბიძაშვილები დათიკო ომიაძე ამით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობართ, რომ მათთვის საყვარელის დაუვიწყარი

კალისტინე ქრისტესას ასული ომიაძის

გარდაცვალების დღიდან ორმოცი დღის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე, დღეს, 8 მარიამობისთვეს, დღის 12 საათზე. № 2199—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დები მარიამი (ცაცუ) და თამარა (დათუშა) გიორგის ასული ხოფერიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 9 აგვისტოს 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავი უდროოდ დაკარგულ

მიხეილ (მიშა) გიორგის ძე ხოფერიასი

1591 2—2

ბაქოს სამრეწველოებში ნავთის ამოღება იზრდება

ამხ. ორჯონიკიძის და ილიჩის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა ბაქოდან:

ივლისის განმავლობაში ამოღებული 26.240.000 ფუთი ნავთი, ე. ი. 3.725.000 ფუთ. მეტი ვიდრე წ. წ. ივლისში. ბურღვით გავლილია 6.774 საჟ., წ. წ. ივლისში—კი 3.340 საჟ., ე. ი. 100 პროც.-ით მეტი. ივლისში დადგმულია ასი ახალი ღრმა საქაჩავი. ამჟამად მოქმედებს 648 საქაჩავი.

სერებროვსკი, ბაროწოვი

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

(ლ. დუმბაძის ქ., № 3)

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 აგვისტოს დღის 12 საათზე უკანასკნელის მიერ დანიშნულია შეჯიბრება დაშლილ და დაუშლელ 20.000 ცალამდე ცარიელი მჟიდის კასრების გაყიდვის შესახებ ფრანკო-ზაჰესის საწყობებში ა. კ. რკინის გზების 273 და 276 ვერსის ჩიხებთან იმ პირობით, რომ ჩიხებში დაგროვილი რაოდენობა გატანილი იქნება შვიდი დღის განმავლობაში. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ როგორც მთელი რაოდენობა, აგრეთვე ნაწილი.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ შემოიტანონ სათანადო განცხადება ამისათვის არსებულ ბლანკებზე სადერბო და საკანცელარიო მარკების ზედ-დართვით შესაძენათ განზრახულ რაოდენობის და ფასის აღნიშვნით.

განცხადება უნდა იქნეს დახურულ პაკეტში წარწერით: „ა. წ. 10 აგვისტოს დანიშნულ კასრების გაყიდვის შეჯიბრებაზე" და ჩაშვებული ყუთში, რომელიც სპეციალურად იქნება მოთავსებული ზაჰესკომის სამასალო განყოფილების კარებთან.

განცხადებების მიღება შეწყდება 10 აგვისტოს ნაშუადღევის 2 საათზე, განცხადებას უნდა ჰქონდეს დართული ქვითარი შესაძენათ განზრახულ რაოდენობის ღირებულების 5 პროც. ზაჰესკომის სალაროში შეტანის შესახებ საწინდარის სახით, რომელი თანხაც დაუყოვნებლივ დაუბრუნდება პატრონს, თუ არ იქნება მიღებული მის მიერ განცხადებული ფასები.

სახელმწიფო დაწესებულებები თავისუფლდებიან საწინდარის შემოტანისაგან. ღირებულება შესაძენად განზრახულ კასრების რაოდენობისა უნდა იქნეს შემოტანილი ნაღდ ფულად, რომლის 25 პროც. შემოიტანება შეჯიბრების გათავებისთანავე გაყიდვის პირობის ხელის მოწერის დროს, ხოლო დანარჩენი 75 პროც. „ზაჰეს"-ის მიერ შემოაღნიშნულ ჩიხებთან კასრების სათანადო რაოდენობის ჩაბარებისთანავე.

დაწვრილებითი ცნობების და განცხადებისათვის ბლანკების მიღება შეიძლება სამასალო განყოფილებაში ყოველ დღე 9—1 საათამდე.

სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.

ნ. 1593—2—2

ღრმად დამწუხრებული ძმა იასონი ივანეს ძე და რძალი ბარბალე არსენის ასული ჯორბენაძეები აუწყებენ ყველა მეგობართ და ამხანაგებს საყვარელი ძმის

სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

უდროვოთ გარდაცვალებას 6-ს ამა თვეს. № 2185—2—1

ღრმად დამწუხრებული ძმები ფილიპე და ნესტორი ივანეს ძე, რძლები: კატო და ანნა, ძმის შვილი ვანიკო ჯორბენაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ საყვარელი ძმის

სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. № 2185—2—1

მწუხარებაში მყოფნი მეგობრები დათიკო ჯაფარიძე, კოტიკო ვოგიტიძე, ტრიფონ სონღულაშვილი, აკაკი ჯანუაშვილი და დავით სებუა აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს მათი საყვარელი და დაუვიწყარი მეგობრის

სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან კადეტის ქუჩა № 2 კვირას, 9 ამა თვეს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. № 2191—1—1

ღრმად დამწუხრებული სიძეები აქსენტი მოისწრაფიშვილი, მელიტონ ქყონია და ეპიფანე გვენცაძე და დები დომინიკა, ნატალია, სოფიო და აგრაფინა ივანეს ასულნი შვილებით აუწყებენ თავიანთ ნათესავთ და მეგობართ საყვარელი ძმის, ცოლის ძმის და ბიძის

სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. № 2193—2—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 11 აგვისტოს 1925 წ. საათის 1 ბუშკინის ქ. № 1 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამხ. „ზაღდადის" მოძრავ ქონებას: ღვინოს, 13 კასრს, პრობკების დასაცავ მანქანას 475 ბოთლს, მაგრებს: მაგიდას, ელმათურს და სხვ., შეფასებულს 395 მან. [illegible] კავშირისა, აქციზისა, ალმასკომისა, ციციშვილისა და ჯავახიშვილისა. ვაჭრობა დაიწყება შუადღიდან. 2—1 2187

Судебный исполнитель нарсуда 4-го района

г. Тифлиса К. Потемковский об'являет, что 12 сего Августа, в 12 часов дня, будет им продаваться со 2-го публичного торга, на удовлетворение претензий Союза—Пище-вкус, Табачнаго треста, Промбанка и др. нижеследующее имущество Ивана Михайловича Курхули в его колбасном заведении на Мадатовском острове, в д. № 3, составляющее полное оборудование колбасного заведения и оцененое для продажи в 762 рубля, как-то: колодка блок с ножами, котлетная машина № 32, шприц для набивки колбас № 45, волчек № 103, деревянный пресс, весы десятичныя и столовые с гирями, разные столы, бочки, мотор с трансмисией, счетчик, чаны и проч.

Судебный испол. ПОТЕМКОВСКИЙ

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—13

ვამზადებ შემოდგომის გამოცდებისათვის **უმაღლეს და საშუალო** სასწავლებლებში შესასვლელად და ვიძლევი **მათემატიკის** გაკვეთილებს: (არით., ალგ., გეომეტრ. და ტრიგონ.) და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5)

ექიმი გ. გ. მევრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით,

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—13

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი,

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სართული კირ-ის ქუჩის კუთხეზე.

25—14

ექიმი გ. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

25—17

წალვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონ Ѳ

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—15 1795

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—საათამდე. 25—8

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმმა შუხმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—8 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

21—3

ბორჯომი

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს მისამართი: რომა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17 ზოსინის აგარაკი.

15 მკათათვიდან 15 ენკენისთვემდე

25—2

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—21

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—21

ექიმი

ბლ. გ. მაღალაშვილი

ბავშთა სნეულებანი.

იღებს 4—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12.

25—2 2153

ექიმი ა. ს. ფონ-ირეთელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბრ.-მონტი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—15

ექიმი ვ. მ. ფხალაძე

შინაგანი და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—19

პროფესორი გ. მ. მუხაძე

საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—10

ექიმი გ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—12

ექ. ა. ე. უზლანერ

ვენერიულ, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ, მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.

25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—3 საათამდე.

საპიოროს ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. ახლ.

25—3

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ბარიატინსკის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33, იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—19

ქბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—19

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 6—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

25—20

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

25—18

დავკარგე პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ბარათი, პროფკავშირის წიგნაკი გერონტი ბაკურაძის სახელზე, ჩ. გ.

2197 1—1

დავკარგე სააღმშენებლო კავშირის წიგნაკი გიორგი სოხაშვილის სახელზე ჩ. გ. 2200 (ა) 1—1

დავკარგე სამხედრო საადრიცხვო ბარათი, დამხლეველი სალაროს წიგნაკი, ზაქსის ქაღალდი, პირად. მოწმობა, კავშირის წიგნაკი გაზარა ახნაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 2196 (ა) 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1959 ტარიელ დიმიტრის ძე მაჭუტაძის სახელზე. ჩ. გ.

2196 (ბ) 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 129 რკ. გზ. სახელდობრივი ფასდადებითი 200 მან. ქაღალდი საბარგო ქვითარი ფართლეულობის № 155.563 ხელწერილი ასი მანეთის გასთაიგაზოვის სახელზე. ჩ. გ.

2200(ბ) 1—1

დავკარგე კომ. კავშირის მოწმობა მიღებული მე-2 რაიკომში კოლა მათიაშვილის სახელზე ჩ. გ.

2195 1—1

დავკარგე პირად. მოწმობა და სამხედრო ნუსხა ალექსანდრე ლომაიას სახელზე, ჩ. გ.

2192 1—1

დავკარგე სიმწიფის მოწმობა (ატესტატი) № 765. მოცემული ყოფილ 11-ტე ტექნიკუმიდან ვლადიმერ დარისპანის ძე გველესიანის სახელზე ჩ. გ.

2190 1—1

დავკარგე ხაზინის პატენტი, პასპორტი, სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ინვალიდობის ქაღალდი, ფინინსპექტ. მოცემული მოწმობა იაკობ მოსიაშვილის სახელზე. ჩ. გ.

2189 1—1

დავკარგე მელითონეთა კავშირის მოწმობა № 2235 დავით თომას ძე ხუციშვილის სახელზე. ჩ. გ.

2.188 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 404 გიორგი ალექსიძის სახელზე. ჩ. გ.

2202 1—1

ტირაჟი—20.677

„ზარია ვოსტოკ"-ის სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4